# დროშა

№ 5
1996 (684)

619
1996



აფხაზეთი – ჩვენი ტკივილი

კიდევ ერთი პავლოვა

სეპარატიზმის მეტასტაზები

კაი ბიჭი ვარ, ჩემი...

ადე, ჩამოვიდა

სექსუალური ფანტაზიები

IV
90
№ 5-9

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 5 1996 (684)

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

სარედაქციო კოლეგია:

ჯანსუღ ჩარკვიანი—თავმჯდომარე,

გულნარა ბახტაძე—პასუხისმგებელი რედაქტორი, ვასილ გვეტაძე, ნატა თათარაშვილი, ზურაბ კვანტრიშვილი, თედო ნინიძე, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ელდარ შენგელაია, ზურაბ წერეთელი, თამაზ ჭილაძე.



ზეიმი რესპუბლიკის მოედანზე

ომის ვეტერანებთან შეხვედრაზე



მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი უწმინდესი ალექსი II თბილისში



# ფოტოინფორმაცია

## შინაარსი


რომან მიმინოშვილი. სეპარატიზმის მეტასტაზები.

მამუკა ცეცხლაძე. ამირან გადინაძირა.

ბრიგიტა შიუკაშვილი. თეთრი ზეწარი (ნამდვილი ამბავი).

ვასილ გვეტაძე. დაუმთავრებელი ბალადა.

ამირან ცამციშვილი. სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც შერისხულები.

ანზორ აბჟანდაძე. ტაძრები მომთმენნი არიან.

შიო არაგვისპირელი. „ადე, ჩამოვიდა!.“ (ფსიქოლოგიური ეტიუდი).

ეთერ წეროძე. კომპოზიტორი ბიძინა კვერნაძე.

ქეთრინ მენსფილდი. ბედნიერება (ნოველა).

ნუნუ კუპრეიშვილი. და კიდევ ახალი ვარსკვლავი.

სექსუალური ფანტაზია.

კროსვორდი.

რომან მიმინოშვილი

# სეპარატიზმის მეტასტაზები

სეპარატიზმი მეოცე საუკუნის სენია! სეპარატიზმი პოლიტიკური შიდსია! რა თქმა უნდა, გასულ საუკუნეებშიც არაერთხელ მომხდარა სახელმწიფოთა დახლეჩა, საზღვრების შეცვლა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ მოვლენებს ბევრი რამ აქვთ საერთო თანამედროვე სეპარატიზმთან, განსხვავება მაინც თვალში საცემია. იმპერიები შემადგენელ ნაწილებად იმიტომ იშლებოდა, რომ ხელოვნურად იყო შექმნილი მათი დამაკავშირებელი ჯაჭვები. ასეთი ბედი ეწია, მაგალითად, (რომ აღარაფერი ვთქვათ ალექსანდრე მაკედონელის, რომის, არაბთა, მონღოლთა იმპერიებზე) ბიზანტიის, ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიებს; ზოგ მათგანს ხანგრძლივი სიცოცხლე არ ეწერა, მაგრამ რომის, ბიზანტიის და შემდეგ „მესამე რომის" — რუსეთის — იმპერიებმა ათას-ათასი წელი გაძლო. იმპერიის აღდგენის არც ერთი შემთხვევა არ იცის მსოფლიო ისტორიამ. სამაგიეროდ, მრავალია სახელმწიფოთა აღდგენის შემთხვევები, მათ შორის, უპირატესად, იმპერიათა დაშლის ხარჯზე. ასეთ დროს ადვილად ხდება სახელმწიფოებრივი გამოცდილების მქონე ისეთი ქვეყნების, თუნდაც შემცირებულ მასშტაბებში, აღდგენა, როგორიც იყო, ვთქვათ, იტალია, საბერძნეთი, ესპანეთი, საქართველო, სომხეთი და სხვა. სახელმწიფოებრივი ცხოვრების გამოცდილება მტკიცე გენეტიკური კოდია, წარმატებით უძლებს თუნდაც მრავალი საუკუნის უფლებრივ ვაკუუმს. ასე, მაგალითად, საქართველოს სახელმწიფოებრივი თავისთავადობის შეგნება ვერ წაშალა ვერც სამასწლიანმა არაბობამ, ვერც საუკუნოვანმა მონღოლურმა უღელმა, ვერც რუსეთის თითქმის ორსაუკუნოვანმა ბატონობამ. იგივე ითქმის ჩვენს მეზობელ სომხეთზეც, რომელსაც უფრო მეტ ხანს, თითქმის ზედიზედ ცხრა საუკუნე, ჰქონდა დაკარგული სახელმწიფოებრიობა.

ამქვეყნად გაცილებით ბევრია ხალხი, თუ გნებავთ, ერი ან ეთნიკური ჯგუფი, რომელთაც არასოდეს ჰქონიათ სახელმწიფო. ბევრმა მათგანმა განიცადა ასიმილაცია, როგორც, მაგალითად, იტალიაში — ეტრუსკებმა, მიუხედავად მათი ცივილიზაციის უფრო მაღალი დონისა ლატინებთან, რუტულებთან, თუ სხვა იტალიკურ ტომებთან შედარებით. ბევრმა კი შეინარჩუნა ეთნიკური სახე. სავსებით ბუნებრივია მათი მისწრაფება ე. წ. თვითგამორკვევის, ეროვნული თვითშეგნების, მამაპაპური ადათ-წესების, კულტურის, ენის შენარჩუნებისაკენ. მაგრამ ბოლშევიკური ფარისევლური თეზისი „თვითგამორკვევა გამოყოფამდე" სრულიად უპერსპექტივოა ისტორიული თვალსაზრისით. არასდროს შეიქმნება ქვეყნად ევენკების, ხანტი-მანსებისა, ჩუქჩების ან ესკიმოსების სახელმწიფო, არა მათი მცირერიცხოვნობის, არამედ სახელმწიფოებრივი ცხოვრების გამოცდილების უქონლობის გამო. სრულიად უპრეცედენტო შემთხვევა მსოფლიო ისტორიაში — ისრაელის სახელმწიფოს შექმნა — იმან კი არ განაპირობა, რომ ქვეყნად ბევრი ებრაელი იყო, არამედ იმან, რომ ორი ათასი წლის წინათ მათ ჰქონდათ მძლავრი სახელმწიფო, სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორია, სხვათა შორის, არა მარტო ერის მეხსიერებაში, არამედ დოკუმენტურად დადასტურებული.

სეპარატიზმისაგან მკვეთრად უნდა განვასხვაოთ, ვთქვათ, ინდოელთა მოძრაობა დამოუკიდებლობისაკენ ან საქართველოს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. საბჭოთა კავშირის მიმართ ეს უკანასკნელი მაშინ ჩაითვლებოდა სეპარატიზმად, ეს ბრძოლა არა ქართველებს, არამედ საქართველოში მცხოვრებ რუსებს, სომხებს ან აზერბაიჯანელებს რომ დაეწყოთ (სხვა საკითხია, რომ მათ შემდეგ მხარი დაუჭირეს საქართველოს დამოუკიდებლობას). აფხაზეთის ეროვნული უმცირესობის — აფხაზთა სეპარატიზმი ისევე უპერსპექტივოა, როგორც იქნებოდა საქართველოში მცხოვრები ზემოთ აღნიშნული ერების წარმომადგენელთა სეპარატისტული განწყობილება საბჭოთა კავშირის მიმართ. ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, რომ აფხაზებს იგივე უფლებები აქვთ აფხაზეთის მიწა-წყალზე, როგორიც უმრავლესობას — ქართველებს.

მიუხედავად აფხაზური სეპარატიზმის უპერსპექტივობისა, მან მაინც მიაღწია ერთგვარ წარმატებას. რით შეიძლება ეს აიხსნას?

თუმცა ბოლო წლებამდე გრძელდებოდა მრავალი საუკუნით განმტკიცებული ტრადიციული ქართულ-აფხაზური კეთილმეზობლური და ნათესაური ურთიერთობები, ჩვენ არ გვქონია საშუალება, ერთმანეთთან გვესაუბრა, თუნდაც პრეტენზიები გამოგვეთქვა ისე, რომ ჩვენს შორის არ ჩამდგარიყო დადარაჯებული მესამე პირი, თურქი იქნებოდა იგი, თეთრგვარდიელი თუ ბოლშევიკი. ძმებსაც კი გაუჭირდება ერთმანეთთან ლაპარაკი, თუ ვიღაც მესამე არამკითხე მეზობელი ერევა მათს ოჯახურ საქმეებში. ასეთი არამკითხე, საშინელი ძალის მქონე, ზაფხულობით ბიჭვინთის ყურეში „მოხვარხვალე" პოლიტბიუროს წევრები თვით ნიკიტა ხრუშჩოვის ჩათვლით ხშირად ამოაბოყინებდნენ ხოლმე — ქართველები ხელს რომ არ გიშლიდნენ, სამოთხეში იცხოვრებდითო. აფხაზ ფუნქციონერებს ყოველთვის ჰქონდათ შესაძლებლობა, „აფხაზური იზაბელათი" გამასპინძლებოდნენ თავიანთ ბატონებს და მჭიდრო ურთიერთობა დაემყარებინათ მათი ოჯახის წევრებთანაც. ეს კი მატერიალური და უფლებრივი პრივილეგიების უფრო დიდი გარანტია იყო, ვიდრე კავშირი თბილისის ხელისუფლებასთან. გამოცდილებით ისიც იცოდნენ, რომ მოსკოველ ბობოლებს სულ ადვილად შეეძლოთ ასეთი სცენარითაც ემოქმედათ: პატარა ბავშვი ჯანღონით სავსე მამაკაცს აუხირდება: „ძია, მომეცი პალტო!" კაცი ყურადღებას არ აქცევს. ბავშვი ტირის. ამ დროს ბნელი კუთხიდან გამოდის შეიარაღებული ყაჩაღი და ამბობს: „არ გრცხვენია, ბავშვს რომ ატირებ? ახლავე გაიხადე პალტო!" ასე არაერთხელ „ატირებულან" აფხაზი ფუნქციონერებიც. ასეთია აფხაზური სეპარატიზმის მთავარი წყარო: არძინბაც მოსკოვიდან გამოგზავნილი „ბავშვია"!

სწორედ ამიტომ იშვა აფხაზური სეპარატიზმი არა ხალხის წიაღში, არამედ აფხაზურ ეთნოკრატიულ ელიტაში. აღარ არიან ხრუშჩოვი თუ სუსლოვი, მაგრამ დღესაც არიან ბაბურინები და ზატულინები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრე ერთმანეთის პირისპირ არ დავსხდებით ჩვენ და აფხაზები, საქმეს არაფერი ეშველება.

როგორ მოხდა, რომ წიგნების დასახელებით და ტირაჟით აფხაზები საბჭოთა კავშირში პირველნი იყვნენ და ბევრად უსწრებდნენ „მჩაგვრელ“ ქართველებს? აფხაზური ენა კონსტიტუციით სახელმწიფო ენა იყო, რაზეც ოცნებაც კი არ შეეძლო არც ერთ ავტონომიურ რესპუბლიკას! აფხაზეთში არსებობდა ტელევიზია, უნივერსიტეტი, თეატრი და ა. შ. და მაინც, თუ კიდევ რამე უნდოდათ ჩვენგან, რუს „ბიძიასთან“ რას გარბოდნენ საჩივლელად? რატომ შეიარაღდნენ მისივე დახმარებით?

პირდაპირ უნდა ითქვას: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მისი უშიშროების საბჭო, სრულიად მოუმზადებელი შეხვდა სეპარატიზმის ტალღას. ის მექანიზმი, რომელიც არსებობს ორ სახელმწიფოს შორის კონფლიქტისათვის, არა თუ გამოუსადეგარია ერთ სახელმწიფოში სეპარატისტული ამბოხების დროს, არამედ პირიქით, ხელს უწყობს სეპარატიზმს, აფიქსირებს განცალკევებულ მხარეთა შორის ხელოვნურ საზღვარს, რომელიც სახელმწიფო საზღვრის რანგში აჰყავს, აკონსერვებს სეპარატისტულ რეჟიმს. არძინბას არ ჰქონდა არც ტერიტორია, არც ხელისუფლება. მან ერთიც და მეორეც სხვათა დახმარებით, სამხედრო ძალით მოიპოვა. ახლა კი მის რეჟიმს საგულდაგულოდ იცავს სხვა ქვეყნის „სამშვიდობო“ ჯარი! სულაც არ სჭირდება მას ჩვენთან მოლაპარაკება! თავის დროზე ჩვენი ქვეყნის მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მსოფლიო თანამეგობრობა გააფრთხილა, რომ სეპარატიზმი ყველა სახელმწიფოს ემუქრება და საჭიროა მის წინააღმდეგ ბრძოლა. რუსეთში უკვე გაჟონა სეპარატიზმის მეტასტაზებმა. გამწვავდა ვითარება ესპანეთში ბასკებთან, საფრანგეთში კორსიკელებთან, თვით იტალიის ჩრდილოეთ ნაწილში იჩინა თავი სეპარატიზმმა, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც — ტეხასის შტატში... რა, ესეც ერთა თვითგამორკვევაა?

ჩვენს განათლებულ ეპოქაში მსოფლიოს აქვს საშუალება, შეიმუშაოს ისეთი მოდელი, როცა გარანტირებული იქნება ერების ეთნიკური ჯგუფების თუ ტერიტორიული ერთეულების ინტერესები, უფლებები და თავისუფლებები და ამისთვის სულაც არ იქნება აუცილებელი ყველა მათგანისთვის ჯუჯა სახელმწიფოს შექმნა. წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალია მსოფლიო კატაკლიზმები. აპოკალიფსი სხვა კი არაფერია! სწორედ ამიტომ გაეროს უპირველესი ვალია მასში შემავალ სახელმწიფოთა სტაბილურობის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვევობის, სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების განუხრელი გატარება. ახლა არსებული მექანიზმით ეს შეუძლებელია!

დარწმუნებული ვარ, გამოსავალი არსებობს! საჭიროა შეიქმნას გაეროს წესდების ძალის მქონე დოკუმენტი, ვთქვათ, ქარტია ან თუნდაც მემორანდუმი, რომელიც აღიარებს შემდეგ პრინციპებს:

**პირველი.** მსოფლიო თანამეგობრობა გმობს ნებისმიერი მოტივით (პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნიკური) აღმოცენებულ აგრესიულ, შეიარაღებულ სეპარატიზმს და აფრთხილებს მის ინიციატორებს და მონაწილეებს, რომ მსოფლიო თანამეგობრობა, გაეროში გაერთიანებული არც ერთი სახელმწიფო არ აღიარებს აგრესიული სეპარატიზმის გზით შექმნილ „სახელმწიფოს“. ამავე დროს არ იქნება დაგმობილი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისაკენ მიმართული ნებისმიერი, მათ შორის სამხედრო, ძალისხმევა.

**მეორე.** იმ სახელმწიფოს თხოვნით, რომელსაც აგრესიული სეპარატიზმი ემუქრება, გაერომ, უშიშროების საბჭომ და სამშვიდობო ძალებმა უნდა გადაკეტონ ყველა გზა მეზობელი ან სხვა სახელმწიფოების საზღვრებზე, რათა უზრუნველყონ ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა. ეს არც თუ ისე რთულია და არ მოითხოვს ისეთ ხარჯებს, როგორიც სჭირდება ამჟამინდელ მოდელს. საკმარისია სამხედრო მეთვალყურეები განლაგებულ იქნან საზღვრის პერიმეტრზე და აუცილებლობის შემთხვევაში სამშვიდობო ძალებით გამაგრდეს ესა თუ ის უბანი. მხოლოდ ასეთი ბლოკადა აიძულებს სეპარატისტებს მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას და ხელი აიღონ სახელმწიფოსგან გამოყოფის იდეაზე.

**მესამე.** უშიშროების საბჭომ უნდა დაგმოს ნებისმიერი სახელმწიფოს ოფიციალური ხელისუფლების მიერ მიღებული ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც გულისხმობს სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევას, სეპარატიზმის მორალურ, მით უმეტეს, ეკონომიკურ, ფინანსურ თუ სამხედრო მხარდაჭერას, რა მოტივითაც არ უნდა იყოს იგი ნაკარნახევი — ეთნიკურით, რელიგიურით თუ პოლიტიკურით.

**მეოთხე.** უნდა იქნას მიღებული ყველა პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო საკანონმდებლო აქტი, რომელიც დაგმობს დაქირავებულთა, „მოხალისეთა“, სამხედრო სპეციალისტთა მოზიდვას სხვა ქვეყნებიდან, ხელში ჩაგდებულ ტერიტორიაზე მოსახლეობის შევიწროებას, მით უმეტეს გენოციდსა და ეთნიკურ წმენდას. სახელმწიფოებს, რომელთა ტერიტორიაზე მზადდება ან მათი საზღვრების გავლით იგზავნება შეიარაღებული ფორმირებები, იარაღი, ფინანსები, უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა იმ მსხვერპლზე და მატერიალურ ზარალზე, რომელიც მათი დახმარებით მიაყენეს სახელმწიფოს სეპარატისტებმა. ზარალის მასშტაბები უნდა განსაზღვროს საერთაშორისო კომისიამ და ამოღებული თანხები მოხმარდეს დაზარალებულ მოსახლეობას.

ასეთი საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზის არსებობა ჩანასახშივე ჩაახშობს აგრესიულ სეპარატიზმს. იარაღის ხელში აღებამდე აჯანყებულები უნდა დაფიქრდნენ იმაზე, რომ მსოფლიოში მათ მხარს არავინ დაუჭერს. არავინ დაღვრის ცრემლებს, თუ შეილახება ბოროტების ჩამდენი ადამიანის „უფლებები“. ამასთან ერთად გაერომ, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა არ უნდა შეანელონ მოღვაწეობა ადამიანის, ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დასაცავად, კულტურული ავტონომიების, სათვისტომოთა მოღვაწეობის მხარდასაჭერად.

იქნებ დადგა დრო (მე ვფიქრობ, იგი დიდი ხანია დადგა), რომ გაერომ შეიმუშაოს ახალი მოდელი სეპარატიზმის, მით უმეტეს, მისი აგრესიული ფორმის აღმოსაფხვრელად. სეპარატიზმი არღვევს სახელმწიფოს საფუძვლებს, იგი ემუქრება მსოფლიო თანამეგობრობის ჰარმონიულ განვითარებას, მას მოაქვს არა „თავისუფლება“, არამედ სისხლი, უბედურება, სიკვდილი...

ყოველ შემთხვევაში ერთი რამ აშკარაა: ორ სახელმწიფოს შორის კონფლიქტი სულ სხვა ბუნებისაა, ვიდრე შინაური კონფლიქტი სახელმწიფოში და მათი ერთი და იმავე მოდელით მოგვარება შეუძლებელია. რა თქმა უნდა, პირველ ხანებში სეპარატისტთა და სახელმწიფოს სამხედრო ძალებს შორის ცეცხლის შეწყვეტა საჭიროა, მაგრამ მხარეთა შორის მოლაპარაკება მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებათა გატარების შემდეგ მოიტანს შედეგს.

არა მაქვს პრეტენზია, რომ ჩემს მიერ შემოთავაზებული მოდელი უნივერსალურია, მაგრამ სეპარატიზმი, როგორც პოლიტიკური შიდსის ვირუსი სისხლით ვრცელდება, როგორც კიბო, ავრცელებს მეტასტაზებს და მსოფლიოს წალეკვით ემუქრება. ოცდამეერთე საუკუნეში კაცობრიობა ყველა ამ სენისაგან თავისუფალი უნდა იყოს!



საქართველოს

მამუკა ცეცხლაძე

# ამირან გადინადირა

ჯაჭვი უკვე გაწყვეტაზეა თითქოს, ორთავიანი არწივიც კვლავინდებურად თავს დასტრიალებს კავკასიონს და აგერ, თვალსა და ხელს შუა, ძაღლის (ანუ იგივე გოშიას) წელიწადიც გაგვეპარა. თურმე ამასობაში იაპონური კალენდრით. ერთობ მშობლიური სიმბოლიკაა — მითის გახსენება იქნება სინამდვილის შეცნობაშიც დაგვეხმაროს!

უწინარეს ყოვლისა, ის უნდა გავიხსენოთ, ალბათ, რომ ამირანს ღმერთი სჯის, სჯის ამპარტავნობისა და თავნებობის გამო. თუ ასეა, და, რა თქმა უნდა, რომ ნამდვილად ასეა, მაშინ გამოდის, რომ ის, ვინც ჩვენს ამირანს ჯაჭვს ულოკავს, ანუ გოშია, უწინარეს ყოვლისა, სწორედ იმ ამპარტავნობასა და თავნებობას ასაზრდოებს ამირანისას, რის გამოც სჯის მას ღმერთი. გოშია, ანუ ძაღლი, ერთგულების გამო, ცხადია, არ დაიძრახება, სწორედ ეს არის მისი უპირველესი დანიშნულება ამ ქვეყანაზე და, რა თქმა უნდა, რომ ცამდე მართალია. მით უფრო მართალია ქართველი პოეტი — აი, ამ გულიდან ამომსკდარი სიტყვების ავტორი, მაგალითად — „დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი“. მაგრამ ტყუის რაღაცაში, მთავარში ტყუის თავად ამირანი — ღმერთი, მოგეხსენებათ, ყველაფერთან ერთად, სამართლიანია!

დღესდღეობით, მაგალითად, ქართველები ერთიმეორეს მოღალატეებს ვეძახით. იქნება სწორედ პირიქით არის საქმე, იქნება სწორედ ერთგულების გამო გვემართება ის, რაც გვემართება და ძაღლის თავი, როგორც იტყვიან, იქ არის დამარხული, რომ ამირანები მოგვიმრავლდნენ? ამირანს, ერთი როა და ერთადერთი, მაშინაც ღმერთი სჯის, მაგრამ ამირანის იქით სხვა გზა და სახიდებელი თუ მართლა აღარა გაგვაჩნია რა, არც ამჯერად, უნდა ვიფიქროთ, რომ ბევრ ამირანს ისევ ერთი სჯობია და ერთადერთი.

ამირანს არწივი უკორტნის გულღვიძლსო (ის არწივი, რომელიც, მოგეხსენებათ, მითოლოგიურად რატომღაც ორთავიანია), ამირანი უროს ულერებს არწივს, ვერ ახვედრებს და ამგვარად თავადვე ამაგრებს იმ პალოს, რომელზეც მისი ჯაჭვია გამობმული და რომელიც გოშიას მეცადინეობით უკვე თითქმის გაწყვეტაზეა. მეორე ვერსიით, ხუთშაბათობით მჭედლები რომ უროს დაჰკრავენ გრდემლს, მაშინ უმრთელდება ამირანს ის თავისი ჯაჭვი. რა გამოდის? ღმერთი, რომელიც სამართლიანია, არწივი, რომელიც მითოლოგიურად რატომღაც ორთავიანია და მჭედლები, რომელნიც, უნდა ვიფიქროთ, რომ მშრომელ საზოგადოებას განასახიერებენ, ყველანი ერთ მხარეზე არიან, ამირანი და მისი გოშია კი — მეორეზე. ამირანი თვითონ აფუჭებს თავის საქმეს და ამაში მას გოშია ეხმარება მისდაუნებურად. გულღვიძლს უკორტნისო, რომ ვამბობთ, ცხადია, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით არ შეიძლება რომ ხდებოდეს ეს, უფრო ის არის ალბათ საფიქრებელი, რომ ამირანი თვითონ ასკდება თავის გულს, რადგან გაგულისებულია და შურისძიება სწადია.

თქმა არ უნდა, ამირანი უეჭველად ყველაზე მნიშვნელოვანი და ნიშანდობლივი გმირია ქართველობისა, მაგრამ უაღრესად საყურადღებოა აქ ერთი გარემოება — იგი გაჭირვების, უკიდურესი გაჭირვების ტალკვესად ნატრული გმირია და ხალხური ამირანიანი-

სამშობლოს

არვის

წავართმევთ,

ჩვენც

ნურვინ

შეგვეცილება...



დან ისიც კარგად არის ცნობილი, რომ სოფელი მას ბოლომდე არასოდეს ენდობა. ცნობილია ისიც, რომ ამირანი გიორგის (სვანური ვერსიით — ჯგრაგს) ებრძვის, გიორგი და გეორგია ამ დროს საქართველოს სახელია. საქართველოს გეორგია ჰქვია ოდითგან და არა ამირანია, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ამირანები საქართველოზე გაცილებით უფრო ცნობილნი იყვნენ თითქმის ყოველთვის მთელს მსოფლიოში. ის, რაც ახლა დაინგრა, მაგალითად, აგერ, ჩვენს თვალწინ ჩვენი, ქართველი ამირანის აშენებული გახლდათ. ავიც და კარგიც, რაც ამ კაცის ხელიდან გამოვიდა, სუყველაფერი საქართველოსაც ზუსტად იმდენადვე შეეხო, რამდენადაც ყველა სხვა ქვეყანას. საქართველოს, სხვათაგან გამორჩევით, მხოლოდ მისი ცოდვების ტვირთი ერგო წილად და პრეროგატივა მისი ფენომენის შეცნობისა — ტომები დაიწერა ამ კაცის ფენომენის ირგვლივ, მაგრამ ყველაზე ზუსტი, მე ვიტყოდი — რენტგენული, სურათი მაინც გრიგოლ რობაქიძემ მოგვცა ჯერ კიდევ 1933 წელს. მასვე ეკუთვნის ეს სიტყვებიც: „ქართველის საფრთხეა პრომეთეული თავნებობა, საფრთხე და არა თვისება“.

ამირანმა დევი მოკლა და მერე მისი სახლიდან რაღაც-რაღაცეების წამოღება მოინდომა. შორს დაიჭირეს ეს ამბავი მისმა ძმებმა, თუ ნახევარძმებმა, მაროდიორობა ჰქვია ამას დღესდღეობით. არასოდეს არ იყო, როგორც ჩანს, ასეთი საქციელი საკადრისი. აი, ჭია კი, არაფრის დიდებით არ მოჰკლა ამირანმა, მიუხედავად თავისი ძმებისა, თუ ნახევარძმების დაჟინებული მოთხოვნისა — ამან მე რა უნდა დამაკლოსო — ვითომ ასე თქვა, მაგრამ გულში რასა მღეროდა ამ დროს, ეს არც იმ მისმა ძმებმა, თუ ნახევარძმებმა უწყოდნენ და არც ჩვენ ვუწყით.

ამირანი ღმერთის ნათლულია. კი, ბატონო, მაგრამ მანამდე იგი ქაჯებს ჰყავდათ ტყვედ ისევე, როგორც მინდია. ამირანის, ამ სახელის, ეტიმოლოგია არ არის მთლად ნათელი, მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ „მინდიას“ ამოსავალი „მინდა“ უნდა იყოს. სრულიად აშკარაა, ჩემი აზრით, ამ ორი მხატვრული სახის გენეტიკური ერთობაც. არადა, ამირანი ამავე დროს, გენეტიკურად, უწინარეს ყოვლისა, პრომეთეოსს უკავშირდება. მინდია, მოგეხსენებათ, გველის მჭამელია, პრომეთეოსი კი ბერძნულად წინასწარმეტყველს, შორსმჭვრეტელს, წინდახედულსა და ფრთხილს ნიშნავს, ანუ ნიშნავს, იმ, ან ისეთსავე სიბრძნეს, რაც მინდიასაც და ამირანსაც ქაჯების ხელში აქვთ ათვისებული. ერთსაც და მეორესაც, ესე იგი, ბოდლერის სიტყვებით თუ ვიტყვით, „სატანის სრული კურსი აქვთ გავლილი“. აი, ყოველივე ამის მერე ინათლება, როგორც ჩანს, ამირანი და ღმერთი ამგვარად უკვე თავისსავე ნათლულს სჯის — უნდა ვიფიქროთ, რომ რომელიღაც განსაკუთრებულად ქაჯური თვისების გამო, რასაც ვერა და ვერ ელევა ეს ბედკრული.



ორთავიანი არწივი, უნდა ვიფიქროთ, რომ იმთავითვე ევრაზიული ერთობის სიმბოლოა, და, თუ ასე ვიფიქრებთ, მაშინ არც იმის მიხვედრა გაგვიჭირდება ალბათ, რომ შეუძლებელია იგი ან ევროპას ეკუთნოდეს, ან აზიას, იგი უეჭველად ორივეს ერთნაირად ეკუთვნის და, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამ ერთობის გარდაუვალ აუცილებლობას შთააგონებს ერთსაც და მეორესაც. აი, ამ ერთობის ერთგულია, როგორც ჩანს, მისტიკურად ჩვენი გეორგიაც, რომელიც გაჭირვების, უკიდურესი გაჭირვების ჟამს იმისი ნატრულია, რომ ამირანმა გაწყვიტოს ბოლოს და ბოლოს ის თავისი ჯაჭვი.

გიორგი—თავად ამ სახელში უნდა იყოს დაუნჯებული ამ ევრაზიული ერთობის იდეა, ამირანი კი, მოგეხსენებათ, თავისუფალი ადამიანია (ამ სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობით, ანუ დაყოფით თუ დავწერთ და წავიკითხავთ ამ სიტყვას — „თავის უფლება“ — ისე, როგორც მე მიწერია) და, ვითარცა თავის უფალი, ღმერთს — თავისსავე ნათლიას — სთავაზობს დავეჭიდოთო.

რაღა თქმა უნდა, რომ „ღმერთი არს სიყვარული“ და არა თავის უფლება, მაგრამ ეგ არის, სიყვარული და მშვიდობა ერთია, სექსი და ძალადობა — მეორე. თავის უფლებისა და, ესე იგი ღმერთთან ჭიდილის ყოვლად ბუნებრივი მოთხოვნილება იქ იბადება, სადაც სიყვარულისა და მშვიდობის ადგილს სექსი და ძალადობა იჭერს.

იმ „ახლებური აზროვნების“ იდეა, რომელიც ბოლოს და ბოლოს თავისებური „ბურევესტნიკი“ გამოდგა „პერესტროიკად“ წოდებული ამ ახალი რუსული რევოლუციისათვის, თავის დროზე სწორედ ძალადობის აბსურდულობის შეცნობამ შვა და მხოლოდ ამ შეგნებამ შეიძლება ასაზრდოოს. რევოლუცია ერთი ძალადობის მეორით შეცვლას ნიშნავს და არაფერია ახლებური ამგვარ აზროვნებაში. „ღმერთი არს სიყვარული“, „გიყვარდეთ მტერნი თქვენნი“ — აი, რას გულისხმობდა ალბერტ ეინშტეინი, როდესაც „ახლებური აზროვნების“ გარდაუვალი აუცილებლობისაკენ მოუწოდებდა ნაციონალისტური და ინტერნაციონალისტური ალტკინებით გაოგნებულ, მეოცე საუკუნის გათითოკაცებულ კაცობრიობას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აფხაზეთი — დედის ცრემლი

სამი წელიწადი გასრულდა, რაც აფხაზეთის მიწაზე გააფთრებულმა ომის ქარცეცხლმა გადაიარა და საქართველოს იარად იქცა. ბინძური, სამამულო, ძმათამკვლელი და ვინ იცის, ვინ რა უწოდა ამ ომს, არაერთი სერიოზული შეცდომისა გამო რომ წავაგეთ.

ომი წააგო ქართველმა, მაგრამ არა საბოლოოდ, საქართველოს თავისი არსებობის მანძილზე უმძიმესი ჟამიც დადგომია, ფერფლისგან აღმდგარა, არაერთხელ ჰქონია გმირობისა და თავდადების უამრავი მაგალითი.

ბევრი ამაღლებული ფურცელი ჩაიწერა აფხაზეთის ომის ისტორიამ, გმირობისა და ვაჟკაცობის არაერთი მაგალითი გამოიტანა სამზეოზე. ალბათ, ყველამ არ იცის, რომ ჩვენს ვაჟკაცებს გვერდში ედგნენ ქართველი ქალებიც და მათ მხარდამხარ იბრძოდნენ.

1992 წლის აგვისტოში სოხუმის ქუჩები სისხლით მოირწყო. საზარელი ტრაგედია დატრიალდა აფხაზეთის მიწაზე. დაუყოვნებლივ შეიქმნა დაჭრილ მეომართა დაცვის სოხუმის დედათა კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელობა სოხუმის უნივერსიტეტის ლექტორმა ნუცა არდაშელიამ ითავა. ომის განმავლობაში კომიტეტი, მძიმე განსაცდელის მიუხედავად, ერთგულად ემსახურა სამშობლოსათვის თავდადებულ ბიჭებს. ქართველმა დედებმა მიმართეს აფხაზ დედებს, ყველაფერი ეღონათ სისხლისღვრის შესაწყვეტად, აფხაზი ბოევიკებისა და სეპარატისტთა დასამოშმინებლად, მაგრამ ამაო გამოდგა ძალისხმევა, უკუღმა დატრიალებულმა ცოდვის ბორბალმა წარხოცა და წალეკა ყოველივე საუკეთესო.

სოხუმის დედათა კომიტეტს არავითარი საარსებო სახსრები არ გააჩნდა. ომის პირველი თვეები ძლივძლივობით გაიტანეს. საკუთარი დანაზოგითა და მოსახლეობის დახმარებით შოულობდნენ დეფიციტურ წამლებს, საავადმყოფოებს რომ თითქმის არ გააჩნდათ. როცა თბილისში დაიწყო დაჭრილთა გადმოყვანა, გაჩნდა შესახვევი მასალებისა და თეთრეულის პრობლემა. კომიტეტის წევრები მოსახლეობაში კარდაკარ დადიოდნენ და საავადმყოფოებისათვის აგროვებდნენ პირველადი დახმარების საგნებს, თეთრეულს, აცმევდნენ ომის წინა ხაზიდან გამოყვანილ ტანსაცმელშემოძარცვულ ბიჭებს. დაჭრილთა შორის იყვნენ აფხაზი მეომრებიც. არც მათ მოჰკლებიათ კომიტეტის წევრთა დახმარება. ზამთარში გაჩნდა ინფექციური დაა-

## თეთრი ზეწარი

### (ნამდვილი ამბავი)

გაყინულ თოვლს ხელის მტკაველის სიმაღლეზე დაეფარა მიწა. თოვდა. შიგადაშიგ თოვლ-ჭყაპს გამოურევდა, სუსხიანი ქარი ყურისწამღებად წიოდა და ძვალრბილში ატანდა. თითქოს ბუნებაც ბრაზობდა. ვერ ეგუებოდა კაცთაკვლას და ამგვარად სჯიდა ადამიანებს.

გაუჭირდა თოვლზე სიარული. რამდენიმე მანქანა გამოიცვალა, ურემსაც დაემგზავრა და, როგორც იქნა, ჩამოაღწია ქალაქს. მერამდენე თვეა, ომი გაიწელა აფხაზეთის მიწაზე და მაინც ვერ გაეგო ამ ხნის კაცს, რად დაიწყო იგი ასე მოულოდნელად, ანდა რატომ გაჭიანურდა ასე უსაშველოდ. უკვირდა გუშინდელი მოყვრისაგან ასეთი მტრობა. ძალზე შეაშინა მეზობელ სოფელში მომხდარმა ამბავმა, დაუნდობლად რომ გაუსწორდნენ აფხაზი თანარაზმელნი მეგობრის, ქართველზე გამოთხოვილ დასა და დისწულს, შეაძრწუნა აფხაზების მიერ საკუთარი ხალხის მიმართ დაუნდობლობამ. ტყვედ ნამყოფი ცხრა აფხაზის ჩამოხრჩობამ სამშობლოს ღალატის ბრალდებით. შეეშინდა რძალშვილიშვილების, შვილმა რომ ჩააბარა ამ რამდენიმე თვის წინ და თვითონ ომში წავიდა. მას შემდეგ არც ენახა, ვიბრძვიო — შემოეთვალა.

უსაფრთხოდ გამოატარა დედაწული სამშვიდობოს, გახიზნა სამეგრელოში და ახლა გულდამშვიდებული უკან ბრუნდებოდა, თან ქალაქში კანტი-კუნტად მოარულ სამხედროებს ეკითხებოდა ახალ ამბებს. ომს, შიმშილს, სიცივეს, უიმედობას ერთიანად მოეტეხა ხალხი. შეფუთულნი, გაყინული სახეებით საკუთარ სადარდელს მისცემოდნენ.

რკინიგზის სადგურს მიაშურა, უამრავი ხალხი ირეოდა, სამი დღე და ღამე მატარებელი ვერ დაეძრათ უსინათლობის გამო. ტამიშზე აქაიქ მტერი შემოჭრილიყო და აწიოკებდა მოსახლეობას. სოხუმში მიმავალი მატარებელი მათ თავდასხმას ვერ აიცდენდა. ელოდა თავმობეზრებული, გათოშილი ხალხი და გაჩენის დღეს იწყევლიდა.

ერთი საათი პურის ქარხანასთან რიგში მოუწია დგომა. როგორც იქნა, აიღო პური. მერე სამხედრო მანქანას დაემგზავრა. გაამხნევა ბიჭები. ქოჩარას გადასახვევთან სთხოვა შეჩერება.

გზის ასახვევთან ყინვისაგან გათოშილ მეომრებს ცეცხლი დაენთოთ. პური უწილადა, გამოჰკითხა საქმის ვითარება. ჩვენს პარტიზანებს აეწიოკებინათ მტრის ბანაკი. გამწარებულნი, არავის ინდობენო სამაგიეროდ. მაინც გადაწყვიტა წასვლა. თეთრი ზეწარი მოუტანეს, — სოფელში ასე ხელაღმართული შედი, მოულოდნელი ტყვიების წვიმა რომ არ შეგაგებონო.

ბინდდებოდა. წყნარი ნაბიჯით მიუყვებოდა გაუკვალავ თოვლს. არავინ შეხვედრია. მკლავზე ზეწარგადაფენილი, ხელაღმართული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვადებანი დაჭრილ მეომართა შორის, მათთვის სპეციალურად წამლები მიჰქონდათ, სახლში მიჰყავდათ, ჰბანდნენ, უვლიდნენ, აჭმევდნენ.

1992 წლის 31 დეკემბერს, როცა თოვლის საფარმა სოხუმში ორმოც სანტიმეტრს მიაღწია, ქალაქში ტრანსპორტის მოძრაობა შეწყდა. დაიწყო ინტენსიური დაბომბვა. მიუხედავად ამისა, კომიტეტმა გასამხნევებლად საახალწლო შეხვედრაც კი მოუწყო დაჭრილ მეომრებს.

უმძიმესი იყო ბლოკადის დღეები. ფიჩხების ცეცხლზე მომზადებული საჭმელი მიჰქონდათ საავადმყოფოებში. დაბომბვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ყოველი გასვლა სახლიდან რისკთან იყო დაკავშირებული. კომიტეტში გაერთიანებული ქალბატონები კი მაინც საავადმყოფოებში, ექიმების გვერდით იდგნენ, ეხმარებოდნენ, ამხნევებდნენ. ისინი კი ხშირად ნახევრად მშივრები დღე და ღამეს საოპერაციო მაგიდებთან ატარებდნენ, ზოგჯერ პოზიციებზე აკითხავდნენ მეომრებს, მიჰქონდათ საჭმელი, სიგარეტები, და, რაც იმხანად ყველაზე მეტად სჭირდებოდათ — დიდი სითბო და სიყვარული. სანგრებში ჯდომით დაღლილი, უჭმელ-უსმელი, მოუვლელი მებრძოლები აღფრთოვანებასა და სიყვარულს იმსახურებდნენ.

სოხუმის დაცემა ვერავის წარმოედგინა, სანამ სვანეთის გოლგოთას არ გაუყენეს გულდაყრილი და დატანჯული, საკუთარ კერას მოწყვეტილი ადამიანები.

კომიტეტმა თბილისშიც განაახლა მუშაობა. ძალიან გაუჭირდათ საავადმყოფოებში განთავსებული დაჭრილი, დაინვალიდებული ბიჭების მოვლა, წაგებული ომის შემდეგ შველას რომ ითხოვდნენ, ისინი დღემდე საჭიროებენ სერიოზულ მკურნალობას.

კომიტეტში გაერთიანებული იყვნენ სხვადასხვა პროფესიის ქალბატონები: ექიმები, პედაგოგები, დიასახლისები, მსახიობები: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ლიანა მიქაშავიძე და ლიანა კუპრეიშვილი, დედაშვილი ნელი ლაგვილავა და ბრიგიტა შიუკაშვილი და სხვ. ბრიგიტა შიუკაშვილი კომიტეტში მუშაობასთან ერთად თანამშრომლობდა გაზეთ „აფხაზეთის ხმაში“. სისტემატურად აწვდიდა რედაქციას ომის ამსახველ მასალებს.

გთავაზობთ ბრიგიტა შიუკაშვილის ჩანახატს, რომელიც აფხაზეთის ომის თემას ეძღვნება.



დედა-შვილი
ნელი ლაგვილავა და
ბრიგიტა შიუკაშვილი

მიდიოდა. მერე ღელეს ჩაუყვა, ვიწრო ბილიკით გადაჭრა გზა. ძაღლის აყმუვლებამდე შევარდა სახლში. გადაეხვია შინაურებს — სიხარულისა და მოულოდნელობისაგან აკანკალებულთ. ის იყო, ვახშმად დასხდნენ, რომ ძაღლის ყეფას კარის ბრახუნი მოჰყვა. აფხაზებს სახლისათვის ალყა შემოერტყათ. თეთრში გახვეულ კაცს ითხოვდნენ, როცა ქალებმა სცადეს დაემალათ იგი, დახვრეტით დაემუქრნენ.

გამოვიდა მოხუცი. სველი, თეთრი ზეწარი ეკავა ხელში. მე ვიყავიო ის კაცი, უთხრა მომხვდურთ, ქალებს მოეშვითო. შტაბში გავარკვევთო ყველაფერს — დაექადნენ. ცოლი მაინც აედევნა. გრძნობდა მოხუცი, რომ განწირული იყო. ერთი მათგანი თითქოს ეცნობოდა.

შტაბში მისულს ვინაობა ჰკითხეს. უპასუხა. სულ სხვა გვარი დაასახელა, მოაგონდა, სად ენახა ეს ბიჭი. სოფლიდან გასვლისას, პიკეტზე რომ გაჩხრიკეს, მაშინ ადვილად გაიპარა, დამალა თავისი გვარი. გულუას გამო სასტიკად დევნიდნენ და უსწორდებოდნენ ამ გვარის ხალხს. აფხაზსაც მოაგონდა იგი.

ჯაშუშობა დააბრალეს. იუარა. ნუთუ ქართველები შენი ხნის ხალხსაც იყენებენო, სიცილი დააყარეს, ან ეს თეთრი ნაჭერი რას ნიშნავსო?

— ომში ეს შერიგებისა და მშვიდობის სიმბოლოაო ოდითგან, უპასუხა. მოიღუშნენ. თვალები სიბრაზისგან დაეგესლათ.

ქალს სახლში წასვლა უბრძანეს, მაინც არ დატოვა ქმარი.

საკმაოდ მოეთოვა ყინულზე. მთვარის ნათელს ვერცხლისფრად აებზინვარებინა არემარე.

ფეხით მიდიოდნენ. ჩაის ბუჩქებთან შეუხვიეს, გააჩერეს. სულისამაწრიალებელმა ყმუილმა დაარღვია ღამის თეთრი მდუმარება. თვალისდახამხამებაში დააყარეს ავტომატის ჯერი ცოლ-ქმარს. ყიჟინა რამდენჯერმე ექომ გაიმეორა და მთებს გადასცა.

არც გაკარებიან, ისე გაბრუნდნენ. არც სხვა მიუშვეს. თოვლი და ყინვა ინახავდა მათ გვამებს. არც აფხაზზე გათხოვილ დას მისცეს ნება, წესი აეგო მათთვის. სამაგალითოდ იყოსო ჩვენი მტრებისათვის და ასე იყვნენ მანამ, სანამ საქონლის ულუფად არ იქცნენ.

დიდი ხნის შემდეგ შვილს მოუვიდა ამბავი, რომ უკვე ნაფლეთებად ქცეული გვამები მეზობლებს ცელოფანში გაეხვიათ და როცა აფხაზებს მიავიწყდათ მათი არსებობა, ჩუმად დაუმარხავთ ჩაის პლანტაციაში.

სოხუმი წლისთავზე დაეცა. კოჩარას და მთელ აფხაზეთს მტერი დაეპატრონა. ათასობით ჩახოცილი და ნაწამები, დამცირებული და პატივაყრილი ქართველი მინდვრად დაუმარხავი დარჩა. ათასობით ლტოლვილად იქცა.

უდანაშაულოდ ნაწამებთა სულები დაბორიალობენ უქართველებოდ დარჩენილ მიწა-წყალზე:
— ნუ მიგვატოვებთო, გვეძახიან მიტოვებული საფლავები.

**ბრიგიტა შიუკაშვილი.**
1993 წ. თებერვალი, სოხუმი.

# დაუმთავრებელი ბალადა



**ვასილ გვეტაძე**

ამ სათაურით 1961 წელს „საბჭოთა მწერალმა“ (ახლანდელი „მერანი“) გამოსცა ომში დაღუპული პოეტის — გიორგი ნაფეტვარიძის ლექსებისა და მოთხრობების საკმაოდ მოზრდილი კრებული. ეს წიგნი თავისთავად ბევრი რამის მთქმელია, მაგრამ უპირველესად, იგი საინტერესოა იმითაც, რომ მასში მხოლოდ დაუბეჭდავი ნაწარმოებებია თავმოყრილი.

არაფერს ვლაპარაკობ ლექსებზე, ომში რომ იწერებოდა, და პირველად შევიდა ამ კრებულში. მკითხველი მანამდეც იცნობდა მის ლექსებს, განსაკუთრებით ქუთაისში, სადაც „კარგად იციან პოეტების მაზანდა“ და ის-ის იყო დიდებულ წინაპართა კვალზე გამობრწყინდა ლადო ასათიანის პოეზია.

უაღრესად მძაფრი და წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა მოთხრობებმა. პირადად მე სულიან-ხორციანად შემძრა და ტირილამდე მიმიყვანა მეუღლისადმი ფრონტიდან გამოგზავნილმა წერილებმა, დღიურებმა, ფიქრმა და ტკივილმა, სტრიქონებს შუა რომ იჩენს თავს და მხატვრულ სიტყვაში იმალება.

ერთი სიტყვით, გამოვიდა წიგნი, რომელშიც პოეზიას ამოუდგა მხარში პროზა და ჩვენ „დაუმთავრებელი ბალადით“ პირველად გავიცანით გიორგი ნაფეტვარიძე, როგორც პროზაიკოსი, მწერალი, რომელმაც იცის, რა არის ომი.

მე კი, დღესაც, მისი გამოქვეყნებიდან მთელი ოცდათხუთმეტი წლის გავლის შემდეგაც, ტანში მაჟრიალებს, როცა ეს წიგნი და ჩემს თავზე დატეხილი ერთი უსიამო ამბავი მახსენდება.

... მაშინ „საბლიტგამს“, რომელსაც შემდეგ „ნაკადული“ უწოდეს, მარჯანიშვილის თეატრის წინ, „უნივერმაღის“ შენობაში მტკვრის მხარეზე, თითქმის მთელი მესამე სართული ეკავა.

ქუთაისიდან თბილისში ახალგადმოსული ვარ და ამ გამომცემლობაში ვმუშაობ.

ზაფხულია, გამოღებულ ფანჯრებში მტკვრიდან გრილი, სასიამო სიო უბერავს.

მომცრო ოთახში, რომელშიც ხუთი თუ ექვსი თანამშრომელი ვსხედვართ და რამდენიმე მაგიდაა ერთიმეორეზე მიდგმული, ქალბატონი ნათელა არჯევანიძე შემოვიდა—გიორგი ნაფეტვარიძის ქვრივი.

ხელში ზონარშემოჭერილი ყავისფერი საქაღალდე უჭირავს, ყოველთვის შუბლგახსნილი და გულიანად შემხვედრი ქალი, ახლა რატომღაც უგუნებოა.

სკამი მივაწოდე. დაჯდა და ისე, რომ ამ ყავისფერ, ზონარშემოჭერილ საქაღალდეზე თვალი არ მოუშორებია, თქვა:

— ამაში გოგის ნაწერებია. ფრონტიდან რომ მიგზავნიდა, სულ ამაშია ყველაფერი. მეორე ცალებიც აღარ მრჩება. კარგი იქნებოდა, რომ გადაგეხედა და დაგელაგებინა.

დაახლოებით ასე თქვა და მოკლედ მიამბო, როგორ მივიდა მწერალთა კავშირში ირაკლი აბაშიძესთან, როგორ ურჩია ბატონმა ირაკლიმ, რომ ერთ წიგნად გამოეცათ ეს ყველაფერი — პოეზიაც, პროზაც, წერილებიც, დღიურებიც, მთლიანად ის, რაც პოეტს დარჩა და დღემდე არსად დაბეჭდილა.

საქაღალდე მაგიდიდან აიღო და გამომიწოდა.

რასაკვირველია, დავეთანხმე — საშუალება მეძლეოდა ამით მაინც გამომეხატა ჩემი პატივისცემა ჩვენს ახალგაზრდულ მწერლურ ოჯახში გამორჩეული მეგობრის წინაშე.

ქალბატონი ნათელა წავიდა იმ იმედით, რომ მე ამ მასალებს გადავხედავდი, ქრონოლოგიურად დავალაგებდი და ერთი-ორი დღის შემდეგ მზად მექნებოდა რემინგტონზე გადასაბეჭდად.

აღარ მოვყვები ახლა, სამსახურიდან როგორ წამოვედი ცოტათი ადრე, როგორი სიფრთხილით მომქონდა მართლაც გასაფრთხილებელი ხელნაწერები, როგორ გადმოვიარე ვერის ხიდი, ამოვათავე ელბაქიძის აღმართი. ზემელზე, მარჯვნივ აფთიაქთან, შესახვევია. იქით გავუხვიე. ისეთი სიცხეა, პირდაპირ სულზე მისწრება იქნება ერთი ჭიქა ლუდი.

არც იმას აღვწერ, „კომუნისტის“ წინ სალუდეში რომ შევედი და ყანჩებივით ფეხწამოდგმულ მაგიდებს შუა, მყუდრო კუთხე მოვიძიე.

იქიდან მალე ამოვედი. ბელინსკის ქუჩას ნელა აუყევი. გოგებაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე, საიდანაც ორიოდე ნაბიჯზეღაა ჩემი სახლი, თავში რაღაცამ დამკრა და ხელში სიცარიელე ვიგრძენი... სადაა მობარებული საქაღალდე!

რანაირად დავეშვი ბელინსკის ქუჩაზე, რანაირი შესახედაობა მქონდა, როგორ გადავჭერი მანქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებით სავსე ცენტრალური ქუჩა და როგორ შევვარდი სალუდეში, არ მახსოვს, დამამახსოვრდა ოღონდ, დახლზე გადმოყუდებული კაცი, რომელიც გაჰყვიროდა:

— არ შაშინდე, კაცო, აქაა შენი „პაკა“.

მებუფეტე იყო ის კაცი. აშენდა მისი ოჯახი... მაგიდაზე ჩემი „პაკა“ შენიშნა, აიღო და შეინახა...

კიდევ კარგი, დროზე რომ შენიშნა, თორემ შეიძლებოდა თავის მოსაკლავად გამხდომოდა საქმე.

●

არ მინდა ვთქვა ის, რაც ჩემამდე არაერთხელ უთქვამთ, მაგრამ „დაუმთავრებელი ბალადა“ მართლაც დაუმთავრებელი სიცოცხლეა და ამ წიგნის დამწერმა კაცმა საკუთარი ხელით დაწერა თავისი ბიოგრაფია, როგორც შეეძლო და მოუხერხდა, ყოველ შემთხვევაში, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ თვითონ ეთქვა მართალი სიტყვა თავის თავზე.

ამაყი და სიკვდილის თვალებში ჩამხედვარი. წერდა სანგრებში, ბლინდაჟებში, ფრონტზე ჩამოვარდნილი წამიერი სიჩუმის დროს, ომის პირველსავე დღიდან მოყოლებული იმ ბოლო საბედისწერო დღემდე.

— მე ვწერ. დრო მაქვს და ვწერ ყველაფერს, რაც მაგონდება. ზოგი რამ მართლაც ღირსია ჩაწერისა, ხოლო ზოგი — წაკითხვის.

მერედა, რას იგონებს, იცი? რითი დაჭეჭკია გული და რა დამახსოვრებია ხორცზე ამოდაღულივით სამუდამოდ?

ჯარში რომ გაიწვევდნენ, იცოდა. ასე რომ, გამოძახება მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო მისთვის — წინასწარ გაუთვალისწინებია ყველაფერი, როგორც კი ომის დაწყება გაუგია. მაგრამ ივნისის ის შავი ღამე მაინც მოულოდნელად მოსულა და თავისთავად მომხდარა მოსახდენი.

— ღამეა. კვირა დაღამდა. ვიწექით გარეთ. სამის ნახევარზე დამიძახეს. ნათელა გაშრა. ნახევარ საათში სრულ სამზე უნდა გამოვცხადებულიყავი. წამოვედი უმალვე. ჭიშკრამდე მომყვა იგი თვალცრემლიანი. მამა გამოვიდა მის დასაბრუნებლად. ვაკოცე შუბლზე, ხელი ჩავიქნიე და წავედი.

და აი, მე ვხედავ თავისი სოფლის გზაზე მიმავალ ჩემი სიყრმის მეგობარს, რომელიც ნამდვილად გიორგი ნაფეტვარიძეა. ნაცნობია ჩემთვის მისი სიმშვიდე და თავდაჭერილობა. ასე იცის მან, როცა ძალიან უჭირს. ვხედავ მას ისეთს, როგორიც მინახავს — ენერგიული და აზრიანი, უეცრად რომ აფეთქდება და ასევე უეცრად ჩაქრება ხოლმე. მიდის მკერდსავსე და გულმოღეღილი. დროდადრო ნაყვავილარ სახეზე მთვარის შუქი გადაევლება. მიუყვება მშობლიურ ორღობეს, სადაც მისმა მოკლე წუთისოფელმა გაიარა.



— მე მივდიოდი მარტო. ვბორძიკობდი კოლბოხებზე. ვწევდი პაპიროსს და მივდიოდი გაბრუებული. არ ვფიქრობდი არაფერზე. მივდიოდი, მივუყვებოდი ჩემი სოფლის მდუმარე შარას. არსად არ ენთო სანთელი, არ ყეფდნენ ძაღლები, არ ყიოდა მამალი. არავინ შემხვედრია. მესმოდა ჩემი ფეხის ხმა შუაღამის დუმილში.

არსად არ ანთია სანთელი, არ ყეფს ძაღლი, არ ყივის მამალი. ისმის მისი ფეხის ხმა, ის ეწევა პაპიროსს და ნელა მიდის შუაღამის სიჩუმეში.

ვინაა ის, რიგით გამოძახებული წვევამდელი, მართლა მოხალისე?

— შეცდომით გამაღვიძეს, მაინც წავედი რაიონში სოფსაბჭოდან, სახლში აღარ მივბრუნდი.

კარგია შეცდომით გაღვიძება, მაგრამ იქ, სადაც „შეცდომით“ მიჰყავთ, ის ადგილი არაა კარგი. გამოდის, რომ თავისი სურვილით მიდის, რაკი იცის, ხვალ მაინც უნდა წავიდეს, იქნებ სასწაული მოხდეს და აღარ გამოიძახონ, სოფლისათვის ასე საჭირო, გასაფრთხილებელი კაცი, იქნებ ცოტა ხნით მაინც მოიშოროს ეს უსიამო ტვირთი?

არა, ის არ იფიქრებდა ასე...

— აჰა! მივდივართ!

იხატება ზღვისპირი, ახალგაზრდა სერჟანტი. ღრუბლიანი დღეა და თქორავს, როგორც ტროპიკულ მხარეში იცის. სერჟანტს გადაპარსული თავიდან ესპანური ქუდი მოუხდია. მერე ზღვისპირა გზაზე გამოჩნდება — მწკრივში დგას და მიდის. ძილი სიარულში, ძილი ფეხად.

— იცი, რას ნიშნავს ძილი სიარულის დროს მწკრივში? არა, არავინ არ იცის ეს. იცის მხოლოდ იმან, ვისაც უძინია ასე.

ის მიდის და წერს, სიარულის დროს. შკლოვსკი წერდა გაქცეულებით სავსე მატარებელში, მკვდრების ვაგონებში. ილია ერენბურგი, საფრანგეთში გერმანიის არმიის შესვლის დღეს იქ მყოფი, ფიქრობდა რომანზე „პარიზის დაცემაზე“. რილეევი სისხლით წერდა ციხის კედლებზე ლექსებს.

— მე ვწერ ამ წერილს ორიგინალურ პირობებში და ვრწმუნდები, აზროვნება შეიძლება ყოველ ვითარებაში. ეს შეიძლება ცუდი იყოს, შეიძლება კარგი.

ძნელია, ალბათ, ამაზე უფრო მართლად დახატო მწერალმა, რა რანგისაც არ უნდა იყო, საკუთარი თავი. ხომ უნდა იგრძნო, თუ გრძნობა გაქვს, ხომ უნდა დაინახო, თუ გაქვს თვალი, ამის დამწერი კაცი და მისი ხასიათი.

— რაღა დავწერო ან რა მნიშვნელობა აქვს ამ შენიშვნებს, — თუმცა შეფარვით, მაგრამ მაინც წამოსცდება „დღიურებში“ ერთგან. გამომადგება ოდესმე? ვითომ დავბრუნდები?

სრულიადაც არაა ეს ჭირვეული კითხვა და არც უმიზეზოდ გასჩენია ყირიმში, სევასტოპოლის მისადგომებთან, საპუნგორაზე... მოსალოდნელია ესეც... მაგრამ სანამ პირში სული უდგას და ცოცხლობს, იმ ცოდვა-ბრალიან ჯოჯოხეთიდან ერთხელ კიდევ ისე და იმნაირად გამოგვძახებს ქუთაისში, სტუდენტობის წლებში რომ იცოდა ჩვეულებრივი მეგობრული სერობის დროს, როცა სუფრაზე ლირიკული განწყობილება გამეფდებოდა:

— ერთი კია მშიშრები ყველაზე ადრე და ყველაზე უაზროდ იღუპებიან. მე მშიშარა არ უნდა ვიყო, თუმცა ჯერ შესაშინებელი არაფერი შემხვედრია. მეჩვენება, რომ მხიარული თაობაა ჯარში და ასე ჯობია. ვინც უკვდავებისათვის ფიქრობს, იგი ცუდი ჯარისკაცია.

და აი, ის ფრონტზეა, — ჯერჯერობით არც ხელი აკლია, არც ფეხი. რაც მთავარია, თავიც თა-

ვის ადგილზე აქვს. პირდაპირ ყურთან გაიარა ტყვიამ და საოცარი ინსტინქტის ძალით, უმალ წაწვა და ქვასავით დაეცა მიწაზე. მაღლა კი თვითმფრინავებია...

— თვითმფრინავები, როცა პიკირებას აზდენენ, ეშვებიან ძირს საშინელი სისწრაფით. ჩვენ ქუდებს ვისროდით ზევით, როცა თვითმფრინავი იწევდა ჰაერში. ქუდებს ვისროდით ზევით მაყრებივით.

ის არაა მარტო და საკუთარ უკვდავებაზეც არ ფიქრობს. სხვა რამემ გაუხსნა მას გონება და ეს სხვა რამე ახლოდან დანახული ომია:

— მე რომ მწერლად არ დავბადებულიყავ, გმირი გავხდებოდი. ახლა გმირი ჩემთვის მასალაა. მე უკვე ვფიქრობ, რომ ტყუის რემარკი, ტყუის ბარბიუსი. ნუთუ ისინი მართლად არ წერენ? გეგონება, მათ სანგრები არ უნახავთ, უფრო სწორად, უნახავთ, როგორც მოგზაურებს, ღამე არ გაუთევიათ შიგ...

და იქვე, ეს უკვე მეუღლისადმი გამოგზავნილ ბოლო წერილში:

— ჩემი ცხოვრების შესახებ მინდა მოგწერო, თუმცა ძალიან ძნელია წერა. მე აქ დღიურებს ვწერ, რომელთაც აქვთ ერთგვარი მნიშვნელობა პირადად ჩემთვის. შენთვის, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ბევრი რამ დარჩება სამუდამოდ გაუგებარი, თუ აღარ მექნა შენთან ერთად საშუალება ამ ნაწერების გაშიფვრისა.

და ბოლოს უმწეო შესაბრალის მდგომარეობაში დარჩენილი კაცის სატკივარი და საყვედური:

— ვერავის გადავეცი შთაგონება. არც შვილი მრჩება, შვილი, რომელიც შეიძლება მგვანებოდა მე...

... მე ვერ ვიტყვი, რომ ეს წიგნი შვილის მაგიერია და შვილძირობას უწევს ამის დამწერს — უშვილძირო კაცს. ეს შეიძლება ასეცაა, მაგრამ ამისი თქმა მაინც არ მინდა. მინდა მხოლოდ, სწორედ აქ და ამ ადგილზე, სადაც გახსნილია მისი ყველაზე დიდი ტკივილი, ადამიანებს გავაგონო მისი ხმა:

„...მწერლებო, პოეტებო, ხუროთმოძღვრებო, დაიჭირეთ ჩემი სული, ჩაკეტეთ იგი სიტყვაში ან ქვაში!..“

ბრჭყალებშია ჩასმული ეს სიტყვები. მე არ ვიცი, მისია თუ სხვისი. მე ის ვიცი მხოლოდ, რომ ეს სიტყვები არაა გულის გარეშე ნათქვამი...

დაუკვირდით ამ სურათს, იქნებ ვინმე ამოიცნოთ ამ ჯგუფიდან. ეს არაა ჩვეულებრივი კონცერტის დროს გადაღებული სურათი და ისინი, რომლებსაც ამ ფოტოზე ხედავთ, ტყვე ქართველებია, რომლებიც კონცერტებს მართავდნენ ფაშისტების მიერ დაპყრობილ ქვეყნებში.

ხელმა ნახევარზე მეტი უცხო მიწა-წყალზე მიფანტ-მოფანტა, სამშობლოში დაბრუნებულთაგან ბევრმა საკონცენტრაციო ბანაკებში დალია სული. ახე რომ, ამ ჯგუფიდან მხოლოდ ხუთი-ექვსი კაცილა თუა დღეს ცოცხალი.

... ნახევარი საუკუნე გასრულდა, რაც მეორე მსოფლიო ომმა გადაიქუხა. მრისხანე და დაუნდობელმა ხოცვა-ჟლეტამ, აწიოკებამ, ნგრევამ თითქმის მთელი ქვეყნიერება დააზარალა...

ბევრი ჩიხოცეს; ტიქხელის ქართველ ტყვედყოფილთა ბატალიონებისა და სხვა კატეგორიების ჯარისკაცებმა დამსახურებული თუ დაუმსახურებელი მკაცრი სასჯელი პირნათლად მოიხადეს, მერე კი ნამოწყალევი რეაბილიტაცია ცრემლნარევი ღიმილით მიიღეს.

მაგრამ რა დააშავეს უნებურად ტყვედ მოხვედრილმა ნაომარმა, ზოგჯერ დაჭრილ-კონტუზირებულმა ხელოვანმა ადამიანებმა, ნამოლვაწარ-ნამუშაკარმა ქართველებმა, რომლებიც თავიანთ საქმეს დაუბრუნდნენ და ხამმაგი ხარკი გადაიხადეს ამისათვის?!

რევოლუციამდელ, ომისა და მის შემდგომ პერიოდში ქართული ხელოვნების პროპაგანდით უცხოეთში დასაქმებულთა უმეტესობამ ისტორიულ-მორალური ღირებულების მეტნაკლები დაფასება, მადლიერება და წყალობა მიიღო. ლიტერატურასა და პრესაში ცნობილია და ქართული კულტურის მატიანემ მიიბარა საბჭოთა და ფრანგ, მათ შორის ქართველ პარტიზანთა პირველი პოლკის არტისტთა დასის პატარა ეპოპეა, დასისა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლოტბარი და კომპოზიტორი პეტრე ნალბანდიშვილი, ორკესტრის შეფი გოჩა რჩეულიშვილი, ქორმაისტერი ჯანიშვილი, ადმინისტრატორი ერისთავი (გაზ. რესპუბლიკური უწყებანი, 30. V. 92) გამოქვეყნდა სტატიები დასავლეთ ევროპაში საგასტროლოდ ჩასულ კაციტაძე-პეტრი..ვილის მოცეკვავეთა ჯგუფსა (გაზ. რესპუბლიკური უწყებანი, 30. V. 6 V. 92 წ.) და ილია ჯაბადარის „ქართულ ბალეტზე“ (ა. ცამციშვილის სტატიები და წიგნი „ევროპაში მოღვაწე ჯაბადარი ერეკლე — კომპოზიტორი და პიანისტი“, თბ. „მეცნიერება“, 1991) მცირე რამ ეუწყა მკითხველს აგრეთვე დავით (დათაშკა) კავსაძის სიმღერისა და ცეკვის ორმოცდაათკაციან ანსამბლზეც (გაზ. „სამშობლო“ 1998, № 6), რომელიც შთამბეჭდავ კონცერტებს მართავდა გერმანიაში, ავსტრიაში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში და, რომელმაც საფრანგეთის ქალაქ კასტრისიდან გაძაზებით 1944 წლის აპრილში ბერლინში შეიერთა პ. ნალბანდიშვილის, ს. პაპაჯანიშვილის, ვ. ქვარიანის, ვ. გარსევანიშვილის და მაყაშვილის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის წევრები: კაპიტონ შურღაია, „მთიულურ-ხანჯლურის“ საუცხოო შემსრულებელი, ვ. კობიაშვილი და გ. დემეტრაშვილი, გორელი ებრაელი ბორის მანაშეროვი, თარბაზ-მოურავი, ქართული ცეკვების ოსტატი გიგი ფარულავა, თბილისის კონსერვატორიადამთავრებული მევიოლინე ბ-ნი ესტატე მამაცაშვილი, რომელიც ბედნიერი შემთხვევით გადაურჩა დახვრეტას, უძიმეს ავადმყოფობას, ტანჯვა-წამებას, შიმშილს, წყურვილს, დამცირებას და მნიშვნელოვანი სახიკეთო წვლილი შეიტანა მუსიკოსმომღერალთა კოლექტივში, ბოლოს, 1945 წლის ივნისში ახალ ვენაში ძმურად გამოემშვიდობა დამწეგობრებულ დავით კავსაძეს და რეპატრირებულ-დასჯილმა თავი ამოყო შუა აზიაში, ქალაქ ლენინაბადში, სადაც ქართული სიმღერისა და ცეკვის ჯგუფს ხელმძღვანელობდა წლების მანძილზე... რატომ იქ და არა მშობლიურ საქართველოში? ღმერთმა თუ უწყის. დღეს იგი და მასავით უცხოეთში მოჰირნახული რამდენი დაუმსახურებლად შერისხული ადამიანი მოთმინებით ელის შეცდომის გამოსწორებას და რეაბილიტაციის მაუწყებელ გერბიან ქაღალდს.

უღვთოდ შერისხულთა საინტერესო საკონცერტო ტურნეებზე უცხოეთში, ხიფათით აღსავსე ტყვე-არტისტთა ცხოვრებაზე, ეპიზოდურ კურიოზებზე (მაგალითად, გენერალ ლიდერ მაიერის თბილისში ნამყოფ ძმასთან, რომელიც ქალაქ პასაუს მერი იყო და თამარ მეფის ორდენს ატარებდა), შეხვედრაზე შეგვეძლო მოგვეთხრო მკითხველისათვის, მაგრამ ხანჯროდ ვცანით ავსტრიის ხოფ. რითონსის-



ში გადაღებული და აქვე დაბეჭდილი დავით (დათაშკა) კავსაძის ანსამბლის ტყვედ ნამყოფი მომღერალ-მოცეკვავეების ფოტო წარმოგვედგინა თხოვნით: კარგად დააკვირდით, იქნებ შეიცნოთ ჩვენთვის უცნობნი და მოგვაწოდოთ მასალები ან ცნობები მათ შესახებ.

მაშ, ასე, ფოტოზე მარცხნიდან მარჯვნივ პირველ რიგში წამოწოლილნი არიან: კუჭავა კოლია (ბარიტონი), კუჭუხიძე კოლია (ქუთაისელი), მაჭავარიანი გრიშა, კოკაია. მე-2 რიგში მიწაზე სხედან: იორამაშვილი ხანდრო (მომღერალი), მაჭარაშვილი ვალოდია, მშვენიერაძე ანდრო, ვადაჭკორია, ხიჭინავა მიშა, გამსახურდია ვალოდია, უგულავა ამბროსი, ქერანაშვილი სიკო (კახელი), კაპანაძე პავლე, გვენცაძე სერგო, მანაშეროვი ბორისი (მოცეკვავე, გორელი), მე-3 რიგში სკამებზე სხედან: შეყრილაძე შოთა (მოცეკვავე, ფაფახით), ქავთარაძე (მოცეკვავე), მაღრაძე პალიკო (სიმღერის მასწავლებელი), დავით (დათაშკა) კავსაძე (ლოტბარი და მომღერალი), პაპიჯანაშვილი სამსონი (ჭიათურელი, გარდაიცვალა კონცერტის დროს სცენაზე), დემეტრაშვილი გაბო (მოცეკვავე, მუშაობდა „ქართული ფილმის“ კინო-ფაბრიკაში), კობიაშვილი ვალოდია (მოცეკვავე), მეოთხე რიგში დგანან?... თევზაძე ჟორა (გიორგი), სოფრომაძე, კვაჭაძე ბორისი, წურწუმია ილო, ნიკოლაიშვილი რუბენი, არჩბა ლეო, ფარულავა გივი (მოცეკვავე), აბაშიძე ვასო, ჯანჯღავა ანდრო (მოცეკვავე-მომღერალი), ბოლო მეხუთე რიგში: ჯაფარიძე სამსონი (ყარყუტა), გიორგაძე, შეყრილაძე იასონი, ქათამაძე?... ხარატიშვილი პავლე (ნოყიერა), ფაჩუაშვილი დათიკო (დავით), შეტრეველი შალვა, ბარათელი ვალიკო, წითაძე ვალოდია, კუჭავა ბაგრატი — ძმა წამოწოლილ კუჭავასი (ბარიტონ-ბანი).

წინასწარ დიდ მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც შეძლებისამებრ გაირჯება და თუნდ მცირე ინფორმაციას მოგვაწვდის. მანამდე კი რესპუბლიკის პროკურატურა დღემდე დაუმსახურებლად შერისხული, ალბათ, მანუგეშებელ „უსტარს“ გაუმზადებს, მითუმეტეს, რომ რუსეთის ფედერაციამ ყველა კატეგორიის ტყვედნამყოფი ყველა უფლებით გაუთანაბრა ომის ინვალიდებსა და ვეტერანებს.

ამირან ცამციშვილ-ფიცხალაური,
პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

# მივუბრუნდეთ ძველ ამბებს

## მოკლეს სამშობლოს გამყიდველი

გალში მოჰკლეს ლოთი ქობალიას შეიარაღებული ფორმირებების აქტიური წევრი იური ბაძალუა. აი, რას წერს ამის გამო „საქართველოს რესპუბლიკაში“ ბადრი იაშვილი: „ამას წინათ, გალში, საკუთარ ეზოში, თავად აფხაზმა კრიმინალებმა მოჰკლეს იური ბაძალუა. ეს ის სამშობლოს გამყიდველი იური ბაძალუაა, რომელიც სეპარატისტებმა ბაზრის დირექტორის მოადგილედ დანიშნეს, ყოველდღიურ ხარკს ჰკრეფდნენ და ძმურად ინაწილებდნენ, მერე ეჭვი შეეპარათ, — ბაძალუა მეტს იღებსო და პასუხი მოსთხოვეს, „მაყუჩიანი პისტოლეტით მოაყუჩეს“.

დღევანდელი ბაზარი მართლა ძალიან ძვირია, იქ ყველაფერი მართლა ძალიან ძვირად იყიდება, მაგრამ ღირდა კი ბაზრის დირექტორის მოადგილეობა სამშობლოს გაყიდვად?

თქვენ რას იტყვით „სინდისის პატიმარო“, ლოთი პატენი?

## გამსახურდია ქობალიამ მოკლა?

ზვ. გამსახურდიას ცნობილი იდეოლოგი თემურ ქორიძე ბრძანებს: „ის ხალხი, რომელიც ახლა ციხეშია, ლოთი ქობალიას თამადობით „ღირსების ორდენით“ უნდა დააჯილდოვოს შევარდნაძემ. სწორედ მათ განაპირობეს ზვიადის ჩამოსვლა საქართველოში, მათ მოაკვლევინეს გამსახურდია. ისინი, ვინც დღეს ციხეში სხედან, არავითარ თანაგრძნობას, არავითარ შეწყალებას არ იმსახურებენ. ძალიან გთხოვთ, ეს აუცილებლად დაბეჭდოთ. მე თვით ზვიადისაგან მქონდა ბოლო ინფორმაცია. იგი ქობალიას მოღალატედ თვლიდა“.

ვისი ხარ, ლოთი პატენი? რა უნდათ შენგან? ან შენ რა გინდოდა ზვიადისაგან?

ვაი თუ, შენცა გაქვს „თვით ზვიადისგან“ ბოლო ინფორმაცია, რომ იგი თემურ ქორიძეს მოღალატედ თვლიდა? ერთმანეთსაც არ ინდობთ?!.



**ანზორ აბჟანდაძე**

ჩვენი დიდი მწერალი გრიგოლ რობაქიძე გალაკტიონის „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ შესახებ აღნიშნავს, ასეთი ქებათა ქება მხოლოდ და მხოლოდ ღვთის ტაძრის მიმართ შეიძლებოდა თქმულიყოო.

ბუნებრივი და გასაგებია ტაძართა მიმართ და, საერთოდ, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის მიმართ მოწიწებითი, ამაღლებული დამოკიდებულება. ეროვნული თავისუფლების დაკარგვის შემდეგ ქართველი ადამიანის ეს განწყობილება გასაგები მიზეზის გამო კიდევ უფრო გამძაფრდა. ალბათ, ყველას კარგად ახსოვს, ეროვნული ჩაგვრის, კომუნისტური ძალმომრეობის პირობებში თუ როგორ სულიერ შვებას ანიჭებდა ჩვენ ხალხს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, ჩვენს ციხე-ტაძრებთან კონტაქტი, თუ როგორი ენთუზიაზმით ებმებოდნენ მათი დაცვის, მოვლა-პატრონობის ღონისძიებებში.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, რაც ცივილიზებული მსოფლიოს ერთ-ერთ დიდ საზრუნავს წარმოადგენს, ჩვენთან განსაკუთრებული, პატრიოტული ქვეტექსტიც ჰქონდა.

დღეს, ასეა თუ ისეა, საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და, შეიძლება ითქვას, წარსულს ჩაბარდა ეროვნული ცნობიერების წარხოცვის იმპერიული მცდელობანი. სამწუხაროდ, სხვა საშიშროება გაჩნდა.

ჩაკეტილი კომუნისტური რეჟიმის მსხვრევის შემდეგ ჩვენ ძალზე უსისტემოდ, სტიქიურად და უპასუხისმგებლოდ გავუღეთ კარი ყველაფერს — ავსაც და კარგსაც (ავს, სამწუხაროდ, გაცილებით უკეთ ვითვისებთ!), რამაც შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ჩვენს კულტურას, და, საერთოდ, ჩვენს ეროვნულ სახეს. ეს, ცხადია, სუბიექტური ფაქტორია და შესაძლებელია მისი მოწესრიგება. ყოველ შემთხვევაში, მავნე შედეგების თავიდან აცილება. აქ გაცილებით ადვილია, ვიდრე იმ საშიშროებისა, რომელიც თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოს ობიექტური რეალობიდან მოდის. და ეს არა იმიტომ, რომ რომელიმე ქვეყანა ან თუნდაც თანამედროვე მსოფლიო ჩვენს მიმართ მტრულად არის განწყობილი და ჩვენი კულტურის დეგრადირებით ან სახეცვლით არის დაინტერესებული (პირიქით, მეტწილად კეთილგანწყობილიც კია), არამედ იმიტომ, რომ აქ მოქმედებს მსოფლიოში შექმნილი სპეციფიკური ვითარება კულტურათა თავისთავადი, ძალდაუტანებელი ურთიერთგანჭოლვისა, თავისდაუნებური ექსპანსიისა. აქ, ცხადია, უნებურად იჩაგრება ის ქვეყანა, სადაც არაა მძლავრი ეროვნული ცნობიერება, მძლავრი, „კონკურენტუნარიანი“ კულტურა და მის ზურგს უკან — მძლავრი ეკონომიკა.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გარემომცველ მსოფლიოსთან ღია ურთიერთობამ ძველი, იმპერიული საფრთხე ამ ახალი საფრთხით შეცვალა. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ჩვენი კულტურის, ჩვენი ეროვნული სახის გადასარჩენად, აუცილებელია განსაკუთრებული ძალისხმევა, ეკონომიკის მობილიზება, რათა ისე არ მოხდეს, რომ ეკონომიკური კეთილდღეობის მოპოვების შემდეგ (რასაც ლამის მთელი მსოფლიო გვიწინასწარმეტყველებს) ხელთ შეგვრჩეს კულტურულად უსახური ქვეყანა.

მძლავრი ეროვნული ცნობიერების, „კონკურენტუნარიანი“ კულტურის შენარჩუნება-დამკვიდრებაში თავისი ღირებული წვლილი შეაქვს და ძალზე საჭირო საქმიანობას ეწევა საქართველოს ძეგლთა დაცვის სამმართველოს რესტავრაციის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი „საქრესტავრაცია“. ამის შესახებ გვესაუბრება ინსტიტუტის რესტავრაცია-რეგენერაციის მეთოდიკის განყოფილების გამგე, თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის პედაგოგი ბატონი **იოსებ ბანძელაძე**:

— ძეგლთა რესტავრაციულ კვლევას საქართველოში თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია აქვს. 1953 წელს ბაგრატის ტაძრის სარესტავრაციო კვლევით დაიწყო საქართველოს ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის მეცნიერული დაცვა. ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა ცნობილი ხუროთმოძღვარი ვახტანგ ცინცაძე. 1969 წელს თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტთან შეიქმნა რესტავრაციის განყოფილება ლევან ხიმშიაშვილისა და ვახტანგ ცინცაძის ხელმძღვანელობით. 1975 წლიდან დღემდე ყოველწლიურად საშუალოდ ხუთ კურსდამთავრებულს ენიჭება არქიტექტორ-რესტავრატორის კვალიფიკაცია. არაერთმა სადიპლომო ნამუშევარმა საერთაშორისო დათვალიერება-კონკურსებზე უმაღლესი შეფასება და სხვადასხვა პრემია დაიმსახურა. ამ სპეციალისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ძეგლთა დაცვის სფეროში მოღვაწეობს.

მთელი ამ წლების მანძილზე მრავალი უმნიშვნელოვანესი ძეგლი გადაურჩა განადგურებას, — სრულად აღდგა, ან დროებითი გამაგრება ჩაუტარდა. თუმცა იყო არსებითი ხარვეზებიც. რესტავრაციის პროცესებს წარმართავდა არა რესტავრატორი, არამედ მწარმოებელი — მშენებელი. სისწრაფეს ეწირებოდა ხარისხი, იკარგებოდა მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული ელემენტები, კედლების მოპირკეთების წყობის ხასიათი, არ იყო დაცული ტექნოლოგია.

წლების მანძილზე დაგროვილი პრობლემებისა და მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით სარესტავრაციო-საწარმოო გაერთიანების საპროექტო ბიუროს ბაზაზე შეიქმნა რესტავრაციის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი „საქრესტავრაცია“, რომელსაც ამჟამად ხელმძღვანელობს ივანე გრემელაშვილი — სანიმუშოდ აღდგენილი ბაგრატის ტაძრის კარიბჭის რესტავრაციის პროექტის თანაავტორი. სამეცნიერო

(გაგრძელება მე-16 გვ.-ზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბაგრატის ტაძრის დასავლეთის ფასადი აღდგენამდე.



აღდგენის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თამარის ლაშქრობა. მხატვარი აპოლონ ქუთათელაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ადე, ჩამოვიდა

ფსიქოლოგიური ეტიუდი

შიო არაგვისპირელი

გოგია მეწისქვილე გულ-ხელ დაკრებილი მივიდა წისქვილის ქვასთან და ალას კვირისტავებით მიეყრდნო. იმან გადახედა ქვის გარშემო სუფთად მოგვილ საზრილეს, მერე ალაში ჩაიხედა, რომელიც საზრილესავით სუფთად იყო მოგვილი და, უკმაყოფილოდ თავის ჩაქნევის შემდეგ, კრიჭას გაშტერებით დაუწყო მზერა. სულ ერთ წამს არ უმზერია ასე გაშტერებით, რომ გადაალაჯა და კრიჭას ძირიდან ხელი ამოჰკრა. კრიჭა მოხვდა ხვიმირს და ისეთი ხმა გამოიღო, რომ გოგია მიხვდა, ხვიმირში არა ყრია-რაო. სარეკი კი, რომელიც კრიჭასთან ულლით იყო დაკავშირებული, ოდნავ შეთამაშდა და ქვაზე რაკრაკი დაიწყო. ხვიმირის ხმას მაინც არ ერწმუნა გოგია. ის შესდგა წისქვილის ხმაზე და შიგ ჩაიხედა,

მხატვარი თენგიზ სამსონაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანაც ხელი მიუს-მოუსვა შიგნიდან ხვიმირის გვერდებს და რადგანაც ხელში არა მოხვდა-რა, რამდენჯერმე მაგრად დაარტყა სილა, მაგრამ იმან მაინც ცარიელის ხმა ამოიღო...

„ფუი!"... მწარედ გააფურთხა გოგიამ და უკანვე ძირს გადმოაბიჯა ფეხი.

დღეს რამდენჯერ გამოუჩხრეკია წისქვილის ყველა კუთხე, ძირი ალმა უქმნია, მაგრამ აგერ ეხლაც ისევ მიდის და სჩხრეკავს. მიიარმოიარა ყველა კუნჭული, გაჩხრიკა ყველა სამინდე კოდი, კასრი და ხოკრი, რამდენჯერმე გადააგორგადმოაგორა ლიტრიანები, მაგრამ კიდევ მაინც ვერ დაკმაყოფილდა. ის დაღრეჯილის სახით მივიდა წისქვილის ქვასთან და მოწყვეტით ალაზე ჩამოჯდა, ნიდაყვები მუხლებზე დააყრდნო და ორივე ხელი თავის დამძიმებულ თავს ბოძკინტად შეუყენა.

რას ეძებდა გოგია ასე მოუსვენრად?

ფქვილს, ფქვილს და ფქვილს!

გუშინ ნახევარი თეფში ფქვილი ხმიადად გამოაცხო და გუშინვე შეჭამა, დღეს კი აგერ დაწანწალებს და აქა-იქ, სადაც წინად მრავლად იყო ფქვილი, დაეძებს, მაგრამ ყველა ის ადგილი, ყველა საფქვილე ავეჯეულობა დაწმენდილი და დარაკრაკებული ხვდება. „ერთი ბეწო მაინც იყოს სადმე!.." უსიტყვოდ იძახდა ყოველი გაჩხრეკის დროს, მაგრამ ეს „ერთი ბეწოც" არსად იყო, ფქვილის ნაალაგევიც აღარას ეტყობოდა...

— შე დალოცვილო, ღმერთო, ერთი კიდევ გამაგონე ჩემი წისქვილის გოგვის ხმა და მერე თუნდ! — ხმა-მაღლა წარმოსთქვა გოგიამ კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ და საფქვილე პირს გვერდზე შეხედა, საიდანაც, თითქოს ამ სიტყვების შემდეგ, ელოდა ფქვილი გადმოიფანტებაო, მაგრამ ქვა არ იძროდა და საფქვილეც შეუგანგლავი შესცქეროდა გოგიას. „ეჰ!" გულჩაწყვეტით ამოიოხრა, რაკი ფქვილი ვერ დაინახა და თავი ისევ-ისე ხელებს დააყრდნო და იატაკის პატარა ნახვრეტიდან ლურჯად ამომჭვრეტ ყინულს ჩაფიქრებით მზერა დაუწყო.

გარედან — კი მარქაფზე გადამჩქეფი წყლის შუილი შემოისმოდა და გოგიას ათასგვარ ფიქრს უბადავდა თავში, წარსულს ულვიძებდა და აგონებდა იმ დროს, როდესაც მოცლა აღარცკი ჰქონდა, რომ ცოტა ხანს შეესვენა და სული მოებრუნებინა, როდესაც იმის წისქვილის კარზე ურმების ჭრიალი იდგა და სავსე საცალოება შეჰქონდათ და გამოჰქონდათ.

გოგია თანდათან გაიტაცა ამ მოგონებამ და სულ დაავიწყდა ეხლანდელი დრო.

ესმის გოგიას, რომ დატვირთული ურემი ჭრიალით მოადგა კარს. აგერ, ტომრების შემოტანაც უშველა და მინდის ალება დაიწყო. მერე, რამოდენა მინდს იღებს?! თითქმის ერთი დიდი სიმინდის კასრი აავსო და გაბრწყინებული დასცქერის. იმის სიხარულს საზღვარი აღარა აქვს. უხარია, რომ ამ ზამთრის საგძალი იშოვა. იმდენი ერგო მინდში, რომ ზაფხულამდის მიჰყვება ეს და ზაფხულში — კი, ღვთის მადლით, ახალი მოვა.

ხვიმირი კიდევაც აავსეს და ახლა ღარში წყლის მოგდებაღა აკლია, რომ წისქვილმა მუშაობა დაიწყოს.

გოგიამ ღარის თავიდან ჩქარა აიღო ფიცრები და მარქაფას ჩაუწყო, რის შემდეგაც წყალი ღარისკენ გაქანდა და... და... ცოტა ხანიც და ბორბალმა წყალი ააქაფა, ააშფოთა და წვრილსა და მსხვილ მბრჭყვინავ წინწკლებს წისქვილის ქვეშ გაბმით ფანტვა დაუწყო. სარეკი წისქვილის ქვაზე არაკრაკდა, რის გამოც კრიჭა ინძრევა და ხორბალს, თითქოს სთვლისო, მარცვლებით ქვის ყელში ჰყრის. ქვა — კი გუგუნებს, გუგუნებს და ყოველ დაგუგუნებაზე საფქვილე პირიდან ბლუჯაბლუჯა ფქვილი გადმოდის და ალაში სრიალი ჩააქვს. ქვის გუგუნი, სარეკის რაკრაკი და წყლის შუილი ერთად ერთდებიან და ერთგვარი ხმა გამოისმის, რომელმაც გოგიას გულში განუსაზღვრელი სიხარული აღძრა. ღმერთო, რამდენი ხანია, რაც გოგიას ეს სანატრელი ხმა აღარ სმენია!.. ეხლა ასმინე და აგერ, როგორ აღტაცებით სულგანაბული უსმენს ამ ნეტარ ხმას, და აღტაცებისაგან თვალთ ცრემლი მოსდის...

— გოგია!... — ამ დროს დასძახა ერთმა პარკ-აკიდებულმა შუა ხანში შესულმა კაცმა, რომელიც ის-ის იყო წისქვილში ხელების ფშვნეტით შემოვიდა და გოგიას თავს წაადგა.

— ჰა!... საფქვავი მოიტანე?!

— ჰო!...

— გვიან მოგერგება ჯერი, სხვაგან წაიღე, ვერა ხედავ, რამოდენა საფქვავია აქ? — დაბნეულად წამოიძახა გოგიამ და თავი ისევ ჩაჰკიდა.

— რას ამბობ, კაცო, საფქვავი, აბა, სადა გაქვს?! — გაკვირვებით შეხედა გაყინულ წისქვილის ქვას და პარკი მოიხსნა.

— საფქვავი?! არ არის?! — გაკვირვებით დაეკითხა ახლად მოსულს და აქა-იქ თვალების ცეცება დაიწყო.

უეცრად შესწყდა სანატრელი ხმა წისქვილისა. აღარ ისმის სარეკის რაკრაკი და აღარც ქვის გუგუნი. გარედან მარტო მარქაფაზე წყლის შუილი-ღა შემოისმის.

— უჰ! — გულ-ჩაწყვეტით წამოიძახა გოგიამ, როცა დარწმუნდა, რომ ის სანატრელი ხმა, რომელიც სულ რამდენიმე წუთის წინად ესმოდა და აღტაცებაში მოჰყავდა, მოჩვენება იყო, და შმუშვნით წამოდგა.

აბა, შენი ჭირიმე, გოგი, დროით დააბრუნე, თორემ შინ სახლობა სიმშილით მიწივის!

— ხორბალია? ჰა!.. სად გიშოვია?.. — ხედიხედ დაეკითხა და პასუხს აღარ მოუცადა, ისე გავარდა გარეთ და წყალი მარქაფაზე საჩქაროდ მოწყვიტა.

ახლად მოსულმა ხორბალი დააყარა და ქვამ ჩქარ-ჩქარი გუგუნი მორთო.

წეღან თუ მოჩვენება იყო, ეხლა ნამდვილია!.. ეხლა ნამდვილად ესმის გოგიას ეს სანატრელი ხმა. ღმერთმან უსმინა და აუსრულა თხოვნა: კიდევ გააგონა ტკბილი ხმა... ხომ აუსრულდა ნატვრა და მაშ, რაღად შესცქერის ასე დაღონებული და მობუზული მბრუნავ ქვას?!

„შე დალოცვილო ღმერთო, ერთი კიდევ გამაგონე ჩემი წისქვილის ქვის გოგვის ხმა და მერე თუნდ..." ინატრა წეღან და, აჰა, აკი გააგონა!...

არა, შესცდა წეღან, ეხლა ნანობს რომ მაგრე ინატრა და არა სხვანაირად. „წისქვილის ქვის გოგვის ხმის" გაგონება იმისთვის უნდოდა გოგიას, რომ მინდი აელო და თავისი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა, სიმშილი მოეკლა. იმას უნდოდა ამ ნატვრით გამოეხატნა, რომ საფქვავი ბევრი მოვიდესო და არა მარტო ხმა გამაგონეო, თორემ „წისქვილის ქვის გოგვის" ხმის გაგონება რომ სდომებოდა, განა უსაფქვაოდ — კი ვერ მოუგდებდა წყალს და ქვას ხრიალს ვერ დააწყებინებდა?!

ვისი ბრალია?! როგორც ინატრა, ისე აუსრულდა. აკი ამისათვის ხმას არ იღებს და მარტო დაღონებული შესცქერის ფქვილს, რომელსაც ერთ მუჭასაც ვერ მოაკლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებს: სირცხვილით როგორ სთხოვოს მინდი ნახევარ კოდ ხორბლის გამოფქვაში?! ღმერთი აღარ არის?! მაგრამ რა ქნას, რომ სიმშილი ძალას ატანს?!

ფქვილის დანახვაზე მუცელმა სულ კანკალი დაუწყო და სიმშილი უფრო გაუცხოველდა. გოგია ხმის ამოუღებლივ გატრიალდა და გარეთ გავიდა, რომ ფქვილისათვის აღარ ეცქირნა. ხორბლის პატრონი — კი მხარ-თეძოზე წამოწოლილიყო და გაჩაღებული ბუხრისთვის ზურგი შეექცია. იმისი ღრმად ჩანაოჭებული შუბლი ამტკიცებდა, რომ არც ის იყო საამურო ფიქრებით გატაცებული...

გოგია დაჩაგრული სახის გამომეტყველებით, მობუზული და გულ-ხელ-დაკრებილი წისქვილის კედელს აეტუზა. სითბო-გამოლეული მზის სხივებისაგან თვალებჩაჭუტული უსიცოცხლოდ გასცქეროდა ალაზნის ველს, რომელსაც თეთრი ზეწარი გადაჰკროდა და ბზინვა გაჰქონდა.

— ღმერთო, გაზაფხული მაინც ჩქარა დადგეს! — წამოიძახა გოგიამ კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ და ალაზნის ველს აქეთ-იქით თვალი გადაავლო, თითქოს ელოდა, ეხლავე დადგება გაზაფხული და ველი ამწვანდებაო. მაგრამ მწვანე ვერსად დაინახა, ყველგან მბრწყინავი თოვლი დახვდა...

„ფქვილი, ფქვილი, ფქვილი!“.. წისქვილის ქვა-კი ამას ჩასძახოდა ყურში ამ დროს და მადას ულვიძებდა.

— მეც მინდა ფქვილი, მაგრამ საიდან მოვიტანო?! — მწარის ღიმილით უპასუხა გოგიამ ქვას და თვალები დახუჭა.

„შედი შინ... შინ შედი, შინ, შინ!..“ — ჩასჩურჩულებდა თავის მხრით ბორბალზე მჩქეფი წყალი.

წყალი და წისქვილის ქვა ერთად შეერთდნენ და განუწყვეტლივ ამას ეუბნებოდნენ: „შედი, შინ, შინ, შინ! ფქვილი, ფქვილი, ფქვილი, შედი შინ, შინ, შინ!.. სთხოვე ფქვილი, სთხოვე ფქვილი, სთხოვე ფქვილი, ფქვილი!..

გოგიამ ყოყმანი დაიწყო: უნდოდა შესულიყო და ფქვილი ეთხოვა, მაგრამ რცხვენოდა:

— ეჰ, რაც უნდა გახდეს, ვსთხოვ!.. — ხელის ჩაქნევით გადაწყვეტით წარმოთქვა, რაკი ქვა და წყალი თავისას არ იშლიდნენ, და შინ შევიდა.

ის თავს წაადგა ბუხრის პირას მწოლარეს და დაიწყო აკანკალებული ხმით:

— შენი ჭირიმე, გეგე...



იმან თხოვნა აღარ გაათავა, რადგანაც დაინახა, რომ გეგეს ჩასძინებოდა და გულიანად ხვრინავდა.

უეცრად თავში სხვა აზრმა გაუელვა და ამის მიხედვით თეფშს ხელი წამოავლო და ალასთან მივიდა, რომ ფქვილი ამოეღო ჩუმად და ასე დაეხსნა თავი თხოვნისაგან.

ცალი ხელით თეფში ფქვილში აურია და მეორით კი კრიჭა შეაბერტყა, რომ უკანასკნელი მარცვლებიც ჩამოეყარა იქიდან.

— ეს რას მეყოფა?! — წამოიძახა იმან, როცა სავსე თეფშს დახედა, და ისევ შიგ მოაქცია...— ქურდობა გავწიო და ერთი თეფშისათვის!..

„ხა, ხა, ხა, ხა!.. სულ, სულ!“ — ჩასძახეს ამ დროს ქვამ და წყალმა.

— ჰო, სულ, სულ!.. მე — კი ადამიანი შვილი არა ვარ?!.. მშიერი ხომ არ მოვკვდები?! — აღელვებით წამოიძახა და საჩქაროდ ნაჯახს ხელი წამოავლო.

„მოჰკალ, მოჰკალ, მოჰკალ!..“— ქვა და წყალი აქეზებდნენ თავიანთი ხმით და აბედვინებდნენ გოგიას მკვლელობას.

თვალებ-ანთებული და ნაჯახამართული თავს წაადგა მძინარეს და ის-ის იყო უნდოდა ნაჯახი დაეკრა, რომ ამ დროს იდუმალმა ხმამ ჩასჩურჩულა ყურში: „აბა, შენი ჭირიმე, გოგი, დროით დააბრუნე, თორემ შინ სახლობა სიმშილით მიწივის!“

ამ ხმაზე გოგიას მკლავი მოუდუნდა და ნაჯახის მაგივრად ფეხი ოდნავ წაჰკრა თავში.

— ადე, ჩამოვიდა!.. — ფეხის წაკვრასთან ერთად აღელვებულა ხმით დასძახა ზევიდან და საჩქაროდ გარეთ გავარდა.

1893 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კომპოზიტორ ბიძინა კვერნაძის სიმფონიური სტილი

თანამედროვე ქართული მუსიკა მსოფლიო მუსიკალური კულტურის განუყოფელი ნაწილია. მასზე მსჯელობისას დიდი ყურადღება ექცევა ტექნოლოგიურ ასპექტს. დღეისათვის მან დამოუკიდებელი მნიშვნელობა შეიძინა და ხშირად ნაწარმოების ბედსა სწყვეტს.

უკანასკნელი წლების მანძილზე ქართული მუსიკა საგრძნობლად განახლდა, მასში შემოვიდა ახალი ტექნოლოგია, ახალი გამომსახველი ხერხები. ჩვენში შეიქმნა მრავალი ისეთი ნაწარმოები, რომელშიც ახალი ტექნოლოგიაც არის და სინამდვილის თავისებური ხედვაც, მათში ისეთი მხარეების განზოგადოებაა, რომელთაც ქართველი კომპოზიტორების თვალსაწიერი ადრე ვერ სწვდებოდა. ამ მხრივ ნიშანდობლივია კომპოზიტორ ბიძინა კვერნაძის სიმფონიური სტილი.

მეტად აქტუალურია დღეს მუსიკალური ენის პრობლემა. კომპოზიტორი აღმოაჩენს ამ ჯერ კიდევ უცნობი განცდებისა და ფსიქოლოგიურ გამოვლინებათა შესატყვის ბგერად ფორმებს, რომლებიც აფართოებენ ჩვენს მუსიკალურ წარმოდგენას სინამდვილის შესახებ. ეს ბგერადი ფორმები გარკვეულ მოვლენათა ასახვის მნიშვნელობას იძენს და მხოლოდ ამ გაგებითაა შესაძლებელი მუსიკალურ და სამეტყველო ენებს შორის პარალელის გავლება. ის, რაც ქართულ მუსიკაში, მაგალითად, ბიძინა კვერნაძემ შემოიტანა, არა მარტო ტექნოლოგიური, წმინდა მუსიკალური ფენომენია, არა მარტო ბგერადი მასალის ორიგინალური სტრუქტურაა, არამედ გარკვეული მსოფლმხედველობა, გარკვეული შეხედულება, სინამდვილისადმი გარკვეული მიმართება.

თაობა, რომელსაც ბიძინა კვერნაძე მიეკუთვნება, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა 50-იანი წლების მეორე ნახევარში.

მდიდარი მელოდიური ნიჭი, გულში ჩამწვდომი ლირიკა, ნატიფი მხატვრული გემოვნება, იუმორის განსაკუთრებული გრძნობა, შემოქმედებითი აზროვნების ორიგინალობა — აი, კომპოზიტორის სტილის ნიშნები, რომელიც მყარ საფუძველს ქმნის მისი ნიჭის აღიარებისათვის.

ბიძინა კვერნაძე ღრმად ეროვნული ხელოვანია, რომლის მუსიკაც ორგანულ კავშირშია მდიდარ ქართულ ფოლკლორთან. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში კომპოზიტორმა შექმნა თავისი პირველი დიდი ფორმის ნაწარმოებები: სიმფონიური პოემა „განთიადისაკენ“ და კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, თუმცა ჭეშმარიტი აღიარება მას მოუტანა „ამიერკავკასიის მუსიკალურ გაზაფხულზე“ (1959 წ.) შესრულებულმა სავიოლინო კონცერტმა, რომელიც შემდგომში „ცეკვა-ფანტაზიასთან“ ერთად არაერთხელ აჟღერდა საზღვარგარეთ (აშშ, ავსტრია, შვეიცარია, პოლონეთი, უნგრეთი, იუგოსლავია და სხვ.). ამ ნაწარმოებებში აშკარად იგრძნობა კვერნაძის შემოქმედების პირველი პერიოდისათვის დამახასიათებელი ნიშნები: ნათელი ლირიკა, სიცოცხლის დამამკვიდრებელი ტონუსი, მსუყე ჟანრული კოლორიტი, შერწყმული ბრწყინვალე იმპრესიონისტულ ორკესტრობასთან.

1965 წელს თბილისში შედგა დებიუტი მუსიკალური თეატრის სფეროში. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დაიდგა მისი ბალეტი „ქორეოგრაფიული ნოველები“. ეს ოთხნაწილიანი საცეკვაო ფრესკა („მხატვრის სახელოსნოში“, „მეთევზეების ცეკვა“, „მწუხრის ზარი“ და „სერაფიტა“) შეიქმნა დიდი ქართველი მხატვრის ლ. გუდიაშვილის სურათების მიხედვით. ქართული ფოლკლორული სახეები, ძველი წეს-ჩვეულებები ახალი ფერებით აკიაფდა ერთაქტიან ბალეტში „ბერიკაობა“. 1979 წელს გამოიცა დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის დაწერილი ქორეოგრაფიული პოემა „ბერიკაობა“, რომლის მუსიკა პლასტიკურია მთელი თავისი არსებით, ხილვადია სცენური განსახიერების გარეშეც.

გაცილებით უფრო რთული და მასშტაბურია „სერაფიტა“ (იგი ნოველებს შორის მოცულობითაც უფრო დიდია), საიდანაც იღებს სათავეს „ბერიკაობის“ მთავარი სახეებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი თვისება.

„სერაფიტას“ ორნაწილიანი კომპოზიცია შეიცავს სიშმაგემდე მოყვანილ ტურნირ-შეჯიბრსა და მასხარის ნიღაბქვეშ ამოფარებული გულცივი სერაფიტოსადმი მიმართული გრძნობების ტრაგიკულ ამოფრქვევებს. თუ ვილაპარაკებთ „სერაფიტას“ კონსტრუქციულ თავისებურებებზე, შეიძლება ითქვას, რომ ბიძინა კვერნაძის პირველი ბალეტის „ქორეოგრაფიული ნოველების“ მთელ დრამატურგიაში ეს ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელშიც ქართული ბალეტის ამ ახალმა სახეობრივმა სფერომ ჰპოვა ორიგინალური მხატვრული გადაწყვეტა.

რაც შეეხება „ბერიკაობას“, როგორც ცნობილია, იგი უძველესი ქართული თამაშია, რომელიც იმართება რთველის დასასრულს. ბერიკებს ეძახდნენ იმპროვიზებული ხალხური თეატრალური ქმედების მონაწილეებს. ამ ეროვნული ტრადიციის შესაბამისად ბალეტის მუსიკაში ხაზგასმულია ჟესტის დინამიკური თვისებები, მოქმედების მოტორიკა, გროტესკი, ნიღბოსნობა.

ბალეტი „ბერიკაობა“ წარმოსახულია დასრულებული დინამიკური ფორმით, რომელშიც აქტიურადაა გამოყენებული გამჭოლი თემატიზმის პრინციპი, როგორც კონტრასტული ეპიზოდების დონეზე, ისე ფართო თაღისებური შტრიხებითაც.

ისეთ ნაწარმოებში როგორიცაა „ბერიკაობა“, ძალზე მნიშვნელოვანია პირობითობის მოდუსი. მთელ პარტიტურაში იგრძნობა გროტესკულ-ნიღბოსნური საწყისის მოქმედება, რაც პირობითობის ელფერს ანიჭებს თვით ლირიკულ ეპიზოდებსაც კი. ბალეტში წმინდა ქორეოგრაფიული თვისებები კარგად ერწყმოდა არა მარტო ბერიკაობის ხალხურ, თავისი ბუნებით სინკრეტულ-იმპროვიზაციულ თეატრს, არამედ იმ ტრადიციასაც, თავისებური გარდატეხა რომ ჰპოვა ქართულ დრამატულ თეატრში.

კომპოზიტორი მიმართავს თითქმის ყველა ჟანრს, ქმნის ოპერებს, ბალეტებს, უვერტიურებს, ვოკალურ-სიმფონიურ ნაწარმოებებს, საფორტეპიანო მინიატიურებს, საესტრადო სიმღერებს, მუსიკას კინოფილმებისა და დრამატული სპექტაკლებისათვის.

სამნაწილიანი პირველი სიმფონია თავისებური მიჯნაა კომპოზიტორის სტილურ ევოლუციაში, მასში რადიკალურ განახლებას განიცდის მუსიკალური ენა, რთულდება დამოკიდებულება ფოლკლორული წყაროებისადმი. ამავე სტილშია გადაწყვეტილი მეორე საფორტეპიანო კონცერტიც, რომელშიც შეიგრძნობა ავტორის გატაცება მოძრაობის ტოკატურ-მოტორული სტიქიით, ოსტინატური რიტმებით, მკაცრი ჰარმონიული ენით.

მუსიკის ისტორიაში უცილობლად დგება მომენტი, როდესაც შემდგომი განვითარება არსებული სტილის დაკანონებულ ჩარჩოებში შეუძლებელია, იწყება ახალი გზების ძიება, ძიების პროცესი კი დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული.

თანამედროვე მუსიკალურ თეატრში განსაკუთრებით გააქტიურდა ჟანრული სინთეზის პროცესი. გაჩნდა ჰიბრიდები: ოპერა-ორატორია, ოპერა-ბალეტი, ოპერა-მონოლოგი, როკ-ოპერა და სხვ. ეს მხატვრული პარალელიზმი განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა 80-იან წლებში, როდესაც ჟანრული სინთეზისაკენ სწრაფვამ ახალი წახნაგები შეიძინა და თვალნათლივ დაგვანახა, რომ ოპერამ მაქსიმალურად გააქტიურა მისი სინთეზური გენები.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ბიძინა კვერნაძის ოპერა „იყო მერვესა წელსა“, რომელიც ახალი სიტყვაა ქართულ საოპერო ხელოვნებაში.

კვერნაძე-სტურუას „იყო მერვესა წელსა“ დრამატურგიული ძირების ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა არსებითად შეუძლებელია, საოპერო სპექტაკლი სათავეს იღებს როგორც შუა საუკუნეების ლიტურგიულ-მისტერიული წარმოდგენებიდან, ასევე პასიონების დრამატურგიიდან; სპექტაკლში გათვალისწინებულია ბრეხტის ეპიკური თეატრის თავისებურებანი. გარდა ამისა, ოპერა უკავშირდება თანამედროვე მუსიკალური თეატრის ტრადიციებს.

თუ კვერნაძის ოპერაში „საოპერო“ შრეს ახასიათებს რეჩიტატიულ-დეკლამაციური მელოსი, ვარირებული გამეორებანი, დინჯი-მედიტაციური თხრობა, რომელიც სტილისტურად ერთი განწყობილებით მთლიანდება, „თეატრალური“ შრე კონტრასტებით, გროტესკით, ფარსით, ბალაგანური თეატრის პრინციპებით ხასიათდება. კვერნაძის მთელ შემოქმედებით კონტექსტში წმინდა მუ-

(გაგრძელება)



სამუშაოებს წარმართავს ინსტიტუტის მეთოდური საბჭო.

ბოლო წლებში ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო, სარესტავრაციო სამუშაოთა მოცულობის შემცირების მიუხედავად, „საქრესტავრაციაში“ მოხერხდა არქიტექტორთა კვალიფიციური კადრების შენარჩუნება. სამწუხაროდ, საპირისპირო სურათია წარმოების სფეროში. მაგალითად, ბერძენი ქვისმთლელები თავიანთ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდნენ, ხოლო ისედაც მცირერიცხოვანმა ქართველმა ოსტატებმა სასაფლაოთა ქვის საამქროებში იპოვეს სტაბილური შემოსავლის წყარო. ერთი სიტყვით, დღეს ჩვენ სრულიად მოუმზადებლები ვართ მასშტაბური აღდგენითი სამუშაოების წარმოებისათვის. საჭიროა სასწრაფოდ გადაწყდეს მაღალი კვალიფიკაციის შემსრულებელ ხუროთმოძღვართა კადრების მომზადების საკითხი. არის სხვა უამრავი პრობლემაც. რა თქმა უნდა, მათი გადაწყვეტა დაკავშირებულია სახსრებთან. სახსრები მომავალში, ალბათ, იქნება, მაგრამ არის ისეთი პრობლემები, რომლებიც დაუყოვნებლივ თუ არ გადაიჭრა, გამოუსწორებელი ზიანი მიადგება ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას და შემდეგ გვიანი იქნება. კერძოდ, უსწრაფესად უნდა გადაწყდეს კატასტროფული ობიექტების გადასარჩენად არქიტექტორ და მხატვარ-რესტავრატორების, კონსტრუქტორების, ქვის გამაგრების სპეციალისტების მონაწილეობით კომპლექსური და მობილური სასწრაფო დახმარების ჯგუფების შექმნის საკითხი. ეს ჯგუფები ტექნოლოგიურად აღჭურვილი სპეციალიზებული მანქანით უნდა იყოს უზრუნველყოფილი. უპირატესი ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფრესკების, მოზაიკის, ქვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკალური თვალსაზრისით „იყო მერვესა წელსა" კომპოზიტორის სტილის მთლიანობას ადასტურებს. ეს შეეხება არა მარტო ინტონაციურ სფეროს, არამედ დრამატურგიულ პრინციპებს, გაორკესტრების თავისებურებებს და ა. შ.

ამდენად, ბიძინა კვერნაძის პირველმა ქმნილებამ საოპერო ჟანრში ქართული საოპერო სტილი ახალი თემატიკით, ახალი სახეებით, საინტერესო მუსიკალური დრამატურგიით გაამდიდრა და იგი ქართულ სინამდვილეში ახალი საოპერო ესთეტიკის დამკვიდრების მაუწყებელი გახდა.

ამჟამად, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში განზრახულია დაიდგას ამ ჟანრის კიდევ ერთი ნიმუში — ბიძინა კვერნაძის ახალი ოპერა „მედეა".

ქართული მუსიკა აღმავლობის გზაზეა. ამ აღმასვლაში თავისი საპატიო წვლილი შეაქვს ბიძინა კვერნაძეს, კომპოზიტორს, რომლისგანაც ჩვენ ველოდებით ახალ საინტერესო პარტიტურებსა და აღმოჩენებს.

**ეთერ ფეროძე,**
ს.ს. ორბელიანის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის მუსიკის კათედრის მასწავლებელი.



ანზორ ერქომაიშვილი და ბიძინა კვერნაძე

რელიეფისა და ორნამენტის დაცვას, რომლებსაც ყოველწამიერი გაქრობა ემუქრებათ. თუ ადგილზე გადარჩენა ვერ ხერხდება, საჭიროა ასლების აღება, ან ნიმუშების მოხსნა და დროებით მუზეუმში განთავსება. ძეგლთა დაცვის წარმოებისათვის გამოყოფილი თანხები ამ მიზნით უნდა იქნას აკუმულირებული.

იოსებ ბანძელაძემ ისიც გვითხრა, რომ ინსტიტუტში განსაკუთრებით აღელვებთ და აფიქრებთ თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ძეგლების საკითხი. ეს გასაგებიცაა, თუ გავითვალისწინებთ შემდეგ გარემოებას: დღეს საკმაოდ გაადვილდა ამ ძეგლების მონახულება და მათზე აუცილებელი აღწერითი, კვლევითი სამუშაოების ჩატარება. მაგრამ სახსრები, ცხადია, ამისთვისაც არ გაგვაჩნია, არადა, ჩვენ ისეთ რთული და პოლიტიკური მოვლენებით აღსავსე ეპოქაში ვცხოვრობთ, რომ არაა გამორიცხული, ვითარება ისევ შეიცვალოს და ამ ძეგლების მონახულება ისევ გაძნელდეს. ამიტომ, სანამ თურქეთის ტერიტორიაზე თავისუფლად შეგვესვლება, ეს შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ და ამ ძეგლებზე აუცილებელი პირველადი სამუშაოები ჩავატაროთ. ამისთვის სახსრების დაზოგვა და საქმის მომავლისათვის გადადება არაა გამართლებული.

„საქრესტავრაციის" თანამშრომელთა აზრით, განსაკუთრებით მისახედია იმ ფონდების საქმიანობა, რომლებიც პრეზიდენტის ბრძანებით შეიქმნა კულტურის ძეგლთა აღსადგენად. მხოლოდ ამ მიზნით უნდა იქნას გამოყენებული აქ შეგროვილი სახსრები და სხვა მიმართულებით არ უნდა გადინდეს.

საქართველოში სარესტავრაციო სამუშაოების მოცულობა, მართალია, ძალიან შემცირებულია, მაგრამ „საქრესტავრაციაში" მაინც ინტენსიურად მიმდინარეობს სარესტავრაციო პროექტების დამუშავება, მეცნიერული კვლევა, სარესტავრაციო-საგენერაციო მეთოდიკის შემუშავება, უწინდელზე უფრო ეფექტური გზებისა და საშუალებების ძიება ჟამთა სიავით დაზიანებული ციხე-ტაძრების აღსადგენად და „განსაკურნავად". „საქრესტავრაცია", შეიძლება ითქვას, ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების „სამკურნალო" კომპლექსური ცენტრია.

ბევრი ციხე-ტაძარი აღადგინეს და განკურნეს აქ მომუშავე არქიტექტორ-რესტავრატორებმა. ბევრი კი თავის ჯერს ელოდება.

ადრე თუ გვიან მათთვისაც აუცილებლად გამოინახება სახსრები, — ჩვენი არეული და აწეწილი ცხოვრება ხომ თანდათან მშვიდდება და კალაპოტში დგება.

მოთმინება და გაძლებაა საჭირო. ეს ჩვენა ვართ, ადამიანები, სუსტნი და მოუთმენელნი, თორემ ტაძრები მომთმენნი და ჩვენი უგუნურებისა და უსულგულობისადმი შემწყნარებელნი არიან.



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბედნიერება

ქეთრინ მენსფილდი

მხატვარი ეემალ ლოლუა

ნოველა

თუმცა ბერტას უკვე ოცდაათი წელი შეუსრულდა, აქამდე ჯერ კიდევ ჰქონდა ისეთი წამები, როგორც ახლა, როცა სიხარულის მაგივრად უნდოდა ერბინა, სურვილი კლავდა ხტუნვა-ხტუნვით ევლო ქვაფენილზე, ბავშვივით გერგი ეგორებინა, აესროლა და ჰაერში დაეჭირა რაიმე, ან განუძრევლად მდგარიყო და უმიზეზოდ ეცინა და ეცინა დაუსრულებლივ.

რა გაეწყობა, როცა ოცდაათი წლის ქალს მშობლიური ქუჩის შესახვევში უეცრად წაგლეკავს მოზღვავებული გრძნობა იმისა, რომ ბედნიერი ხარ, უსაზღვროდ ბედნიერი! ისეთ საოცარ ნეტარებას იგრძნობ, თითქოს ნაშუადღევის ჩახჩახა მზის ნატეხი გადაგეყლაპოს, უბეში კი გიზგიზებდეს და სხეულის ყოველ უჯრედში ფეხის ფრჩხილიდან თხემამდე სხივებს უხვად გაფრქვევდეს.

კიბე აირბინა და ჩანთა მოჩხრიკა, მაგრამ როგორც ყოველთვის, გასაღები ახლაც დავიწყებოდა. კარი ხხვამ გაუღო.

— გმადლობთ, მერი, — ბერტა ჰოლში შევიდა.

— ძიძა დაბრუნდა?

— დიახ, ქალბატონო.

— ხილი მოიტანეს?

— დიახ, უკვე ყველაფერი მოიტანეს, ქალბატონო.

სასადილო ოთახი ბინდით იყო მოცული და საკმაოდ გრილოდა, მაგრამ ბერტამ ტანზე მოტმასნილი პალტო ერთი წამითაც ვერ იგუა, მხრებიდან გადაიგდო და შიშველ მკლავებზე ცივი ჰაერის შეხება იგრძნო.

მკერდში ჯერ კიდევ რაღაც გიზგიზებდა და ნაპერწკლებს აფრქვევდა. ეს უკვე მეტისმეტი იყო. ამოსუნთქვის ეშინოდა, ცეცხლი უფრო რომ არ გაეღვივებინა და მაინც ღრმად, ძალიან ღრმად სუნთქავდა. ცივ სარკეში ჩახედვას გაურბოდა, მაგრამ მაინც ჩაიხედა. იქიდან ღიმილით სახეგაცისკროვნებული ქალი უმზერდა. ქალს დიდი, შავი თვალები უციმციმებდა, ბაგე უთრთოდა და სახეზე ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს რაღაცას აყურადებდა, რაღაცას ელოდა, ელოდა რაღაც საწაულს რაც უნდა მომხდარიყო, რაც ნამდვილად მოხდებოდა.

მერიმ სინზე დაწყობილი ხილი, ბროლის ლარნაკი და საუცხოო ლურჯი ლანგარი შემოიტანა, რომელიც ისე უცნაურად კრიალებდა, თითქოს რძეში ამოავლესო.

სინზე მანდარინები და მარწყვისფრად დაბრაწული ვაშლები, ყვითელი, აბრეშუმივით ხრიალა მსხლები, ვერცხლისფერი ბუსუსებით დაფარული თეთრი ყურძენი და ერთი დიდი ძოწისფერი მტევანი იდო.

ბერტამ ხილისგან ორი პირამიდა გააკეთა, მერე მაგიდიდან უკან დაიხია და შეხედა. ეფექტი მართლაც საოცარი იყო. მუქი სასადილო მაგიდა საღამოს ბინდში გაუჩინარდა, ბროლის ლარნაკი და ლურჯი ლანგარი კი ჰაერში ლივლივებდა, ახლა ისეთ ხასიათზე იყო, ეს ყველაფერი წარმოუდგენლად მშვენიერი მოეჩვენა... ბერტას სიცილი წასკდა.

„არა, არა, ნამდვილად ისტერია მომეძალა“, — ჩანთას და პალტოს ხელი დაავლო, კიბე აირბინა და საბავშვო ოთახში შევიდა.

დედა როგორც კი დაინახა, პატარა გოგონამ ხტუნვა დაიწყო.

— ახლა კი მარტო ჩემი ხარ, ჩემო საუნჯევ, — თქვა ბერტამ, ბუხარს მიუჯდა და ბავშვი გულში ჩაიკრა.

ბერტა სიყვარულით დაჰყურებდა ქალიშვილის წინ გადახრილ კულულებიან თავს, ცეცხლის ალით განათებულ ფეხის ნატიფ, პაწია თითებს.

— ტელეფონთან გთხოვენ, — უთხრა ოთახში შემოსულმა ძიძამ.

ქვევით ჩაირბინა. ჰარი უხმობდა, სადილზე სტუმრებს ელოდნენ, ღირსეულ და აღიარებულ წყვილს — ნაიტებს, ედი უორენს, ახლახანს ლექსების წიგნი რომ გამოსცა და მის დაპატიჟებაში ყველა ერთმანეთს ეჯიბრებოდა, და კიდევ ბერტას ახალ აღმოჩენას, პეარლ ფულტონს. ბერტამ იგი კლუბში გაიცნო და შეუყვარდა ისე, როგორც ყველა ლამაზი და უცნაური ქალი.

ბერტა სასტუმრო ოთახში გავიდა და ბუხარი აანთო. ამ ოთახის ფანჯრები აივანზე გადიოდა, რომელიც ბაღს გადაჰყურებდა... შორს, ბაღის ბოლოს, კედელთან ყვავილებით გადაპენტილი, თეთრად აფეთქებული, ტანწერწეტა მსხლის ხე ზღაპრულად ყვაოდა. მშვენიერი ხე მონუსხულივით იდგა ხმარაგდისფერი ცის ფონზე. ბერტა შორიდანაც კი გრძნობდა, რომ ხეს არც ერთი გაუშლელი კვირტი, არც ერთი დამჭკნარი ყვავილის გვირგვინი არ ჰქონდა. ბაღის გაზონებზე წითელ-ყვითელი ტიტები საღამოს ბინდში ჩაძირულიყვნენ: ბალახზე ნაცრისფერი კატა ნელა მიცოცავდა, უკან მისივე შავი ჩრდილი ზლაზვნით ადევნებოდა, მათი ასეთი მოქნილი და შეწყობილი მოძრაობის დანახვისას ბერტას უეცრად გააჟრჟოლა.

რა მძაფრი სუნი აქვთ ამ ყვითელ ყვავილებს თბილ ოთახში. ძალიან გამაბრუებელი, არა? ოჰ, არა. თუმცა, ჰო, მაგრამ მაინც... თითქოს ძალა გამოეცალათ ბერტა დივანზე დაეცა და თვალებზე ხელი აიფარა.

თვალებდახუჭულს საკუთარი ცხოვრების სიმბოლოდ თვალწინ აყვავებული უტურფესი მსხლის ხე წარმოუდგა.

მართლაც მეტი რაღა ენატრა... ყველაფერი ჰქონდა... ახალგაზრდა იყო, ჰარის და მას კვლავინდებურად უყვარდათ ერთმანეთი და ერთგული მეგობრებიც იყვნენ, მშვენიერი გოგონა ჰყავდათ, უფულობა არასოდეს უგრძვნიათ. შესანიშნავი სახლი და ულამაზესი ბაღი აქვთ და რაც მთავარია, მეგობრები. შესანიშნავი მეგობრები, ცნობილი მწერლები, მხატვრები, პოეტები, სწორედ ისეთები, მათ რომ სჭირდებათ. აი კიდევ წიგნები და მუსიკა. მკერავიც საუკეთესო აღმოაჩინა. ყოველ ზაფხულს საზღვარგარეთ მიემგზავრებიან. მათი ახალი მზარეული ხომ ჩინებულად ამზადებს ომლეტს...

„ღმერთო, რა აბდაუბდას მიედ-მოედები", — ბერტა წამოჯდა, ძლიერი თავბრუსხვევა იგრძნო, თითქოს უცბად სასმელი მოეკიდა, ეტყობა გაზაფხულის ბრალია...

ჰო, რა თქმა უნდა, გაზაფხულის ბრალი იქნება. ისეთ დაღლილობას გრძნობდა, რომ კიბეზე ძლივს ავიდა ტანსაცმლის გამოსაცვლელად.

თეთრი ჰაეროვანი კაბა, ნეფრიტის მძივის ასხმულა, მწვანე ფეხსაცმელები და წინდები მოირგო, — ეს ჩაცმულობა კარგა ხნით ადრე შეარჩია.

ყვავილის ფურცელივით მსუბუქი კაბის შრიალით ჰოლში გავიდა და სტუმრები გადაკოცნა. ოდნავ თავგადაწეული, ვერცხლისფრად აციმციმებული, გაღიმებული შემოვიდა მისს ფულტონი. კაბაც ვერცხლისფერი ეცვა და ქერა თმას ვერცხლის მისამაგრი უმშვენებდა.

„ოჰ, ღმერთო, ნეტავ რატომ ვარ ამ ღამით ასე აღერხიანი, რატომ მიყვარს მთელი ქვეყანა ასე თავდავიწყებით!" — ფიქრობდა ბერტა. დღეს ყველაფერი მოსწონდა, ყველაფერი აღაფრთოვანებდა, ყველაფერი აღელვებდა, ყველაფერი, რაც ხდებოდა, თითოეული წვრილმანიც კი წვეთ-წვეთად ემატებოდა მის ისედაც პირთამდე სავსე ბედნიერებას.

თეთრად აფეთქებული მსხლის ხე ისევ ცოცხლობდა მისი სულის სიღრმეში. ალბათ, ახლა ის მთლად ვერცხლისფერია, მთვარის შუქით განათებული, ვერცხლისფერია პეარლ ფულტონივით, ნატიფი, სინათლის სხივივით გამჭვირვალე თითებით მანდარინს რომ აწვალებს.

ბოლოს სტუმრები მაგიდიდან აიშალნენ. სასტუმრო ოთახში ცეცხლი ჩაქრა. ნაკვერცხლები წითლად ღვიოდა ბუხარში.

— თქვენ ბაღი გაქვთ? — მოესმა ბერტას მისს ფულტონის მშვიდი, ძილისმომგვრელი ხმა.

ეს ისე მომხიბვლელად იყო ნათქვამი, რომ ბერტა ამ ხმას უყოყმანოდ დაემორჩილა. ოთახი გადაკვეთა, ფარდები გადასწია და უზარმაზარი ფანჯრები გამოაღო.

— აი, შეხედეთ, — წაიჩურჩულა მან.

ერთმანეთის გვერდით მდგარი ორი ქალი მონუსხულივით შესცქეროდა ტანკენარ აყვავებულ ხეს. თუმცა მსხლის ხე მშვიდად იდგა და საერთოდ არ იძვროდა, გეგონებოდათ ნიავდაკრული სანთლის ალივით ირხეოდა, ცახცახებდა, ზევით და ზევით მიიწევდა, მათ თვალწინ იზრდებოდა, სულ უფრო და უფრო მაღლდებოდა, ცას სწვდებოდა და საცაა წვერს სავსე მთვარის ვერცხლისფერ დისკოს შეახებდა.

რამდენი ხანი იდგნენ ასე გარინდებულნი?.. თითქოს სხვა, უცხო სამყაროს ქმნილებანი იყვნენ, ამ არამიწიერი სინათლის ტყვეობაში მოქცეულნი.

რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს ყველაფერი, უსასრულოდ თუ ერთი წამი?.. ნუთუ მართლა, ჩაიდუდუნა მისს ფულტონმა: „დიახ, სწორედ ისაა", — თუ ბერტას მოეჩვენა?

ვიღაცამ სინათლე აანთო. მისს ფულტონი ყველაზე დაბალ ღრმა სავარძელში ჩაეშვა. ჰარიმ სტუმრებს სიგარები შესთავაზა.

ბერტას ცნობიერებაში ნელ-ნელა უცნაური, თითქმის საშიში რაღაც შემოიჭრა, და ეს ბრმა, მომღიმარი რაღაც ყურში ჩასჩურჩულებდა: „ესენი ახლა მალე წავლენ, სახლში სიჩუმე დაისადგურებს, სინათლეებს ჩააქრობენ და შენ ჰარისთან მარტო დარჩები ჩაბნელებულ ოთახში... თბილ ლოგინში..."

პირველად თავის სიცოცხლეში ბერტამ იგრძნო, რომ გული ქმრისკენ მიუწევდა. ძალიან მოენატრა მასთან ყოფნა...

ბერტას ჰარი ძალიან უყვარდა. მაგრამ ასე? არა, სულ სხვაგვარად, ქმრის მიმართ თავისი სიცივე პირველად გულს სწყვეტდა და აკრთობდა, მაგრამ შემდეგ შეეჩვია და ყურადღებას აღარ აქცევდა. ახლა კი აღმოაჩინა, რომ ჰარი მგზნებარედ, ვნებიანად უყვარდა! ვნებიანად... ეს სიტყვა ექოს გამოსცემდა მის აგზნებულ სხეულში. ნუთუ ეს იყო... ნუთუ ბედნიერების ასეთი ყოვლისმომცველი განცდა აქეთკენ უბიძგებდა... ნუთუ... ნუთუ... მართლა...

სტუმრები აიშალნენ. ბერტამ ნაიტები გააცილა, როცა სასტუმრო ოთახში შემობრუნდა, მისს ფულტონი და ედი უორენიც წასასვლელად აფუსფუსდნენ. მისს ფულტონი ჰოლისკენ გაემართა, ბერტამ გაცილება დააპირა, მაგრამ ჰარიმ დაასწრო.

— ნება მიბოძეთ, მე მოგემსახუროთ!

ედი და ბერტა ბუხართან შემორჩნენ.

— ბილკსის ლექსი წაიკითხეთ! — ჰკითხა ედიმ.

— დიახ, — უპასუხა ბერტამ და ჰოლში გამავალი კარის წინ მდგარ მაგიდასთან უხმაუროდ მივიდა. ედი უკან მიჰყვა. ბერტამ მაგიდიდან წიგნი აიღო და ედის უსიტყვოდ გაუწოდა.

სანამ ედი უორენი წიგნს ფურცლავდა, ბერტამ კარისკენ გაიხედა და დაინახა... ჰარის მისს ფულტონის პალტო ეჭირა, თავდახრილი მისს ფულტონი მამაკაცისკენ ზურგით იდგა. უეცრად ჰარიმ პალტო მოისროლა, მისს ფულტონს მხრებზე ხელები შემოაჭდო და ძლიერად შემოაბრუნა.

— მაგიჟებ! — აჩურჩულდა ჰარი. მისს ფულტონმა თავისი მთვარისფერი თითები ჰარის ლოყაზე შეახო და ძილმორეული ღიმილი შეაგება. ჰარის ნესტოები უთრთოდა.

— ხვალ, — წაიჩურჩულა მან და მისს ფულტონმა თანხმობის ნიშნად წამწამები აახამხამა.

— თუ ინებავთ, ტაქსს გამოვიძახებ ტელეფონით, — გაისმა ჰოლიდან ჰარის ხმა.

— ოჰ, არა, არა, არ არის საჭირო, — თქვა მისს ფულტონმა და სასტუმრო ოთახში მობრუნებულმა ბერტას პატარა ხელი გაუწოდა.

— ნახვამდის, დიდი მადლობა.

— ნახვამდის, — უპასუხა ბერტამ.

მისს ფულტონმა ბერტას ხელი საკუთარ ხელში ოდნავ შეაყოვნა. უორენის თანხლებით ოთახიდან ისე გავიდა, თითქოს ნაცრისფერმა კატამ შავი კატა უკან გაიყოლა.

— თქვენი მშვენიერი მსხლის ხე, მსხლის ხე...

ბერტას სული შეეხუთა. ფანჯარასთან მიირბინა.

„ოჰ, ღმერთო, ნეტავ ახლა რა მოხდება?" — აღმოხდა მას.

მსხლის ხე კი იდგა ზღაპრულად აყვავებული, ისევ ისეთი უძრავი და მშვენიერი.

მთარგმნელი
ნანა კოპალეიშვილი-დარჩიაშვილისა.

## რედაქციისგან

ამას წინათ გაზეთ „სტუდენტური პაემანის" პრეზენტაცია იყო თბილისის უნივერსიტეტში. გაზეთი ჭეშმარიტად საინტერესოა, გაწონასწორებული, თავისუფალი და მისაბაძი.

დღეს, როცა დაყოფილია საქართველო ზემოურ-ქვემოურებად, იმედი დაიკარგა, სიცოცხლე გაძვირდა, თბილისი თბილისს აღარ ჰგავს, ყველა-ყველა და არ გვეგონა თუ უბნებიც გაიხლიჩებოდნენ, გაჩნდა „ზემო ვერა" (სასაცილოა) ყველა ქუჩას თავის „საძმო" გაუჩნდა. უნდობლობამ დაისადგურა ქალაქში და საკუთარი დედის გინებით გაერთო მცირეწლოვანი და ყმაწვილი თუ ახალგაზრდა. ჩვენ გვჯერა, რომ ეს ყველაფერი დროებითია, ქარს გაჰყვება ბოროტი სულით დატვირთული ყველა ქმედება და საქართველოში კვლავ დაისადგურებს მცნება: პატივი ეცი დედასა და მამასა შენსა!

გაზეთ „სტუდენტური პაემანიდან" გადმოვბეჭდეთ ერთი საინტერესო წერილი, სადაც ეგრეთწოდებულ „კაი ბიჭობაზეა" საუბარი და რომელსაც ხელს აწერს — ქუჩის აკადემიის „კაი ბიჭი" გიორგი ჭინჭარაული.

# კაი ბიჭი ვარ, ჩემი...




# ამბები

● ჩარლზ ოსბორნს 1922 წელს, როდესაც ნებრასკას (აშშ) ფერმაში ღორს კლავდა, სლოკინი აუტყდა და არაფრით არ გაუარა. პირველმა ცოლმა ვერ აიტანა და მიატოვა. ისევ დაქორწინდა, მაინც არ ეშველა. დილას, ლოგინიდან წამოდგებოდა თუ არა, სლოკინი აუვარდებოდა, მხოლოდ ძილის წინ შვებას გრძნობდა. ხანში რომ შევიდა, სხვა პრობლემა გამოუჩნდა, პროთეზს პირში ვერ იჩერებდა.

ანალოგიურია ლოს-ანჟელოსელი ჯეკ ო'ლერის შემთხვევაც. დიდხანს წვალობდა. ექიმებმა ხელი ჩაიქნიეს. იმედი რომ აღარ ჰქონდათ, რადიოთი გამოაცხადეს. დიდი გამოხმაურება მოჰყვა. დედამისის თქმით, რჩევის სახით შემოსული 60000 წინადადებიდან არც ერთმა შედეგი არ გამოიღო. ბოლოს, როგორც იქნა, წმინდა ჯუდის ლოცვამ გაჭრა. მორიგი შეტევა 1948 წლის 18 ივნისიდან 1956 წლის 1 ივნისამდე გაგრძელდა. მაშინ, როცა სლოკინმა 160 მილიონს გადააჭარბა, ავადმყოფი მომჯობინდა, მაგრამ 188 გირვანქიდან 74 გირვანქამდე წონაში დაიკლო.

● დღემდე ყველაზე მსუბუქ არსებად ითვლება 1868 წლის 2 იანვარს დაბადებული მექსიკელი ჯუჯა ლუჩია ზარატი. 17 წლის ასაკში $26^1/_2$ დიუმის (67 სმ) სიმაღლის იყო და 4,1 გირვანქას იწონიდა. შემდეგ, 20 წელი რომ შეუსრულდა, 13 გირვანქამდე გასუქდა. აღარც მოუმატებია. 26 წლის გარდაიცვალა.

● ექვსი წლის ელენ ესპოზიტო, ბრმა ნაწლავის ამოჭრის შემდეგ, 1941 წლის 16 აგვისტოს, კომაში ჩავარდა. აღარც გაუღვიძია. 1978 წლის 25 ნოემბერს, 48 წლისა და 357 დღის ასაკში, გარდაიცვალა. 37 წელი და 111 დღე უგონოდ იყო.

● 1888 წლის სტატისტიკური მონაცემებით, 15 წლის გოგონა მთელი ხუთი კვირა ამთქნარებდა.

● 1988 წელს ლონდონში დაბადებულ გოგონას ჰქონდა 14 თითი ხელზე და 12 — ფეხზე.

● XVI საუკუნეში საფრანგეთიდან პორტუგალიაში ელჩად წარგზავნეს ვინმე ჟან ნიკო (1530—1600). პირველმა შეიტანა საფრანგეთში ინდოეთიდან (1560 წელს) თამბაქო, რომლის ფოთლები შეიცავს ალკალოიდს, ნერვული სისტემის აღმგზნებ ძლიერ საშუალებას. ის ასევე უცნობად დარჩებოდა კაცობრიობისთვის, მისი მეშვეობით, მთელ ევროპაში რომ არ გავრცელებულიყო შხამი, რომელსაც შემდგომ მისი სახელი ეწოდა.

● ატლანტის ოკეანიდან აღმოსავლეთით თუ გაემართებით, ფეხს შედგამთ ირლანდიის მიწაზე, სადაც 1880 წელს, პროტესტის ნიშნად, მოიჯარეებმა უარი თქვეს ულმობელ ინგლისელ მემამულე ჩ. კ. ბოიკოტთან მუშაობაზე. აქედან მომდინარეობს გამოთქმა — ბოიკოტის გამოცხადება.

„დღესდღეობით ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე უცხო თვალი უდავოდ შეამჩნევს და იტყვის: ეს რა ქვეყანაა, ზრდილობამ უკანა პლანზე გადაიწია და წინა პლანზე უზრდელობამ დაისადგურაო. ქართველებმა სიტყვა „დემოკრატია“ და „თავისუფლება“, სამწუხაროდ, ძალზე ცუდად გავიგეთ, ამ ორივე სიტყვას სხვა განმარტება მოვუძებნეთ და უზრდელობასთან გავაიგივეთ, კარგია თავისუფლება, მაგრამ აქაოდა თავისუფლებააო და ყველაფერს ხაზი გადავუსვით, დავივიწყეთ ყველაფერი „ძველი“. ხომ არ აჯობებდა, გადმოგვეტანა თანამედროვეობაში და „ძველი“ უფრო ახლებურად, ცივილიზებული და ზრდილობიანი ფორმებით შეგვენარჩუნებინა. ჩვენი ცხოვრების ახალი „დებულება“ შევიმუშავეთ და ამ „დებულების“ ყველა „მუხლი“ შევცვალეთ, დავიწყეთ „ახალი ცხოვრება“, რასაც ჩვენ თავისუფლებას ვეძახით.

შემდეგ, რაც ჩვენ ეს ცნებები „პირველად“ გავიგეთ, საკმაოდ აქტიური გახდა ქუჩა, ალბათ, ქუჩამაც იგრძნო თავისუფლების „გემო“ და უფრო თამამი გახდა, თამამი და ხშირ შემთხვევებში გულგრილი. დაიწყო ქუჩის ორ ტიპად დაყოფა, პირველი კატეგორიისათვის დამახასიათებელი ტერმინია: „კაი ბიჭი ვარ, ჩემი დედა...“ (ყველას არ ვგულისხმობ), და მეორე კატეგორიის ტერმინი: „რა დაგიშავე, ძმაო, მაპატიე რა?...“ ასეა თუ ისე, დღეს ეს პრობლემა ყველგან არა, მაგრამ მაინც დგას... და ეს ყველაფერი ჩვენ მისალები და „საბლატაო“ გვგონია. თუ კარგი ბიჭი ხარ, არ უნდა იყვირო და ხალხს თავზე არ უნდა მოახვიო შენი „კაი ბიჭური“ გრძნობები, თუ კარგი ბიჭი ხარ, შენვე უნდა დაარწმუნო საკუთარი თავი იმაში, რომ „თავზე არავინ გადაგახტება“, სულ არ არის საჭირო ყვირილი და „ვილკების თხრა“. დღეს „კაი ბიჭი“ გახდა ის, ვინც ხელში იარაღი, იგივე „დურა“ ჩაიგდო, ძალაუფლებას იგი წარმართავს არა გაგების და ლაპარაკის, არამედ „ცხრა გრამიანის“ იმედით. ვიმეორებ, ეს ყველას არ ეხება, მაგრამ თბილისში, სამწუხაროდ, მრავლად არიან ის „კაი ბიჭები“, რომელნიც საკუთარ „კაი ბიჭობას“ საქმით კი არა, საკუთარი დედის გინებით „ამტკიცებენ“... აი, ის, რაც დიდ პრობლემას წარმოადგენს „ქუჩის აკადემიაში“. სენი, რომელიც ჯერჯერობით განუკურნებელია. სენი, რომელსაც ყოველი მათგანი ებრძვის, მაგრამ უშედეგოდ, რისი ან ვისი ბრალია, ეს უკვე სხვა თემაა... მაგრამ, იქნებ თავის გამართლებისა..(?!!).

ჩვენში სიტყვა „ქუჩა“ ცუდ ობიექტს წარმოადგენს, მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქუჩაში არა მარტო იგინებიან, არამედ საუბრობენ აქტუალურ, პრობლემატურ თემებზე, უმეტესობა ქუჩის „ბირჟაზე“, დგომით კლავს დროს, მათ ქუჩის მეშვეობით ისწავლეს უფროსთან მოპყრობის წესები, ისე ნუ გამიგებთ, თითქოს ქუჩას უმაღლეს სასწავლებელს ვადარებდე, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ გაუნათლებელი ადამიანი ქუჩაშიც დაჩაგრულია, ასე რომ, რასაც ქუჩაში ისწავლი, მას ვერსად ვერ გაივლი (ან პირიქით).

ნუ შევხედავთ ქუჩას ცუდი თვალით, თუ ნამდვილი ადამიანები ვართ, ესე იგი ვართ „კაი ბიჭებიც“ და ამას არავითარი გაგრძელება არ უნდა მოჰყვებოდეს. ადამიანი ისაზღვრება რამოდენიმე ცნებით — ზრდილობით და გაგებით. შევხედოთ სიმართლეს და გავუსწოროთ ერთმანეთს თვალი. ნუ გადავიქცევით მტრებად. ყველა ერთად შევებრძოლოთ ფრაზას: „კაი ბიჭი ვარ, ჩემი დედა“... „კაი ბიჭობას“ საკუთარი თავის შეურაცხყოფით დამტკიცება არ უხდება.

გადმობეჭდილია გაზეთ „სტუდენტური პაემანიდან“.


# მალამო „ლმ“

გამოიყენება დამწვრობის, ჩირქოვანი და გართულებული ჭრილობების, ძირმაგარების და სხვადასხვა მუწუკების, აგრეთვე ტროპიკული წყლულის დროს. მალამო დამზადებულია ცხოველურ და მცენარეულ კომპონენტებზე. არ საჭიროებს სამაცივრო რეჟიმს, ინახება ხანგრძლივად, წლების მანძილზე ინარჩუნებს სამკურნალო თვისებებს, არ იწვევს ალერგიას.

აღნიშნული მალამო გამოკვლეულია და შესწავლილია მეცნიერულად ფარმაკო-ქიმიის ინსტიტუტის მიერ და ნებადართულია ფართო მოხმარებისათვის.

მალამოთი მკურნალობა შეგიძლიათ ბავშვთა № 1 საავადმყოფოში, ძმები ზუბალაშვილების ქ. № 48. შეძენა ჩარგლის ქ. № 35, ბინა 61. ტელ: 60-35-35 61-84-35.

გულიკო ლეკიშვილი

# და კიდევ ახალი ვარსკვლავი

ნუნუ კუპარეიშვილი

მსოფლიო საბალეტო ხელოვნების ისტორიის საგანძურში საქართველო შევიდა როგორც ვახტანგ ჭაბუკიანის ქვეყანა.

იმ ხნიდან მოყოლებული, როცა ის სათავეში ჩაუდგა ქართულ საბალეტო დასს, ეროვნულმა კლასიკურმა ცეკვამ ახალ სიმაღლეებს მიაღწია.

ბალეტი — სასცენო ხელოვნების ეს თვალწარმტაცი და ჯადოსნური მომხიბვლელობა ხომ ეროვნული კულტურის ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი სახეა და რაოდენ ნიშანდობლივია, რომ მის რეალისტურ ტრადიციებს ღირსეული გამგრძელებელი ჰყავს.

. ჩვენი თანამემამულის ნინო ანანიაშვილის სახელი კარგა ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს და მსოფლიო ხელოვნების კუთვნილებად იქცა.

და კიდევ ახალი ვარსკვლავი.

ირმა ნიორაძე — სანკტ-პეტერბურგის მარიინის სახელმწიფო აკადემიური თეატრის პრიმა-ბალერინა.

ნინოცა და ირმაც თბილისის ვ. ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებლის აღზრდილებია. აქ ეზიარნენ ბალეტის ანა-ბანას, აქ განიცადეს ხელოვნების სიყვარულით მონიჭებული პირველი ტკბობა და რა გასაკვირია, თუ მათი ყოველი ჩამოსვლა მშობლიურ ქალაქში ყოველთვის დიდ სიხარულსა და აღმაფრენას იწვევს.

ასე მოხდა ამჯერადაც.

ნინო ანანიაშვილის უზადო ხელოვნებით გამოწვეული აღტკინება ჯერაც არ იყო დამცხრალი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს საქველმოქმედო გასტროლებით ირმა ნიორაძე რომ ესტუმრა. თუმცა „ესტუმრა“ შეიძლება არც იყოს შესატყვისი, რადგან ამ თეატრის სცენაზე შედგა მისი პირველი დებიუტი ჟიზელის პარტიაში ვახტანგ ჭაბუკიანის ცნობილი პარტნიორის ვერა წიგნაძის ხელმძღვანელობით.

ამ სპექტაკლს კი წინ უძღოდა ერთწლიანი სტაჟირება ლენინგრადის ვაგანოვის სახელობის ბალეტის აკადემიაში.

1988 წელს კი ირმა ისევ თბილისში ბრუნდება.

შემდგომ კი გასტროლები საფრანგეთში ჩვენს თეატრთან ერთად, სადაც ირმა გ. ალექსიძის სამივე ბალეტის სოლისტია.

პირველი დიდი წარმატება და რწმენა საკუთარი შესაძლებლობებისა:

კონკურსი შეერთებულ შტატებში და ლაურეატის წოდება.

გასტროლები დანიასა და იტალიაში.

და ისევ სანკტ-პეტერბურგი: მონაწილეობა ერთ-ერთ პრესტიჟულ კონცერტში.

მალინის მთავარი ბალეტმაისტერი ირმა ნიორაძეს თეატრში დარჩენას სთავაზებს.

რომ არა მტანჯველი შრომა, უდიდესი ძალისხმევა და მიზანსწრაფვა, ისეთი მსოფლიო ვარსკვლავების გარემოცვაში, როგორც მარიინის თეატრის ორსაუკუნოვანი საბალეტო სკოლაა, შეიძლება ახალგაზრდა ბალერინას ვერც ეპოვა თავისი ადგილი.

„მე მადლობას ვწირავ ღმერთსა და ბედს, რომ საბალეტო ხელოვნებასთან

# სექსუალური ფანტაზიები

ცხოველები და ვიბრატორები, გიგანტური პენისები, რომლებიც ერთდროულად ტკივილსა და სიამოვნებას ანიჭებენ, ვნებიანი მამაკაცებისა და გამოცდილი ქალების ჯგუფები, ქალწულები და ბიჭები — ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ უსაზღვრო ფანტაზიებისა, რომელიც ამერიკელმა ნენსი ფრაიდეიმ, თავისი ხუთასგვერდიან წიგნში წარმოგვიდგინა. „ქალი მწვერვალზე“ — ასე ქვია დოკუმენტურ ნაამბობს, ამერიკა რომ შეძრა, რადგან სააშკარაოზე გამოიტანა საშუალო ამერიკული ქალის გულახდილი აღსარება, ყველაზე მიჩქმალული სურვილები, სულ უმცირესი დეტალებიც კი.

ფრაიდეის ქალები ხშირად ისეთ ფანტაზიებს გადმოგვცემენ, რაც მხოლოდ მამაკაცს აალელვებს, ამიტომ საფიქრებელია, რომ ამ წერილებში ხშირად „კაცის ხელი ურევია“. მიუხედავად ამისა, ავტორმა ქალური სამყაროს ახალი, უცნობი მხარე წარმოაჩინა. ქალს, ერთი მხრივ, შეუძლია გულახდილად, მიუკიბ-მოუკიბავად ილაპარაკოს სექსზე, რაც 15—20 წლის წინ წარმოუდგენელი იყო, მეორე მხრივ, მას აღარ ერიდება გამოამჟღავნოს საკუთარი დაუკმაყოფილებლობა. ეს ქალები აისბერგის წყალზედა ნაწილს მოგვაგონებენ. ასეა თუ ისე, ფრაიდეი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ქალთა უმრავლესობა თავისი სექსუალური ცხოვრებით უკმაყოფილოა და ამგვარი ფანტაზიებიც სწორედ ამის დასტურია.

იტალიელი სექსოლოგები და სოციოლოგები ერთობ დააინტერესა ამ წიგნმა და იტალიაში ჩაატარეს გამოკითხვა. თურმე იტალიელი დიასახლისების ვნების ობიექტს სახლში გამოძახებული სანტექნიკოსები წარმოადგენდნენ. მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ ამ ქვეყნის ეპიდემიოლოგები ხელოსნებს შიდსით დაავადების მთავარ კანდიდატებად მიიჩნევენ. ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ზეწოლი მეხანძრეები; რომლებმაც მოხვეწება დაკარგეს თანაქალაქელი ქალბატონების გაუთავებელი ტელეფონო პორნოგამოძახებებისაგან. მოგვიანებით კი დაუკმაყოფილებელი ქალების ვნებები მოსახლეობის აღწერაში ჩართულ მამაკაცებს დაატყდათ თავს, როცა ეს უკანასკნელნი სახლიდან სახლში დარბოდნენ სააღწერო ფურცლების შესავსებად.

ამ ფაქტმა გააოცა და დააბნია იტალიელი სექსოლოგი ჯანა სკელოტო: „ჩემი აზრით, საქმე გვაქვს მამაკაცთა მიერ ჩამოგონილ ფანტაზიებთან. თუმცა სიმართლე ყველაფერი შეუძლია: შეიძლება არც არსებობენ ქალბატონები, ხელოსნებს რომ უხაფრდებიან, მაგრამ ფსიქოლ-

დამაკავშირა... როცა სპექტაკლის შემდეგ გეუბნებიან, რომ შენი დღევანდელი გამოსვლა შეუდარებელი იყო, მარტო ეს წუთი ღირს მთელ სიცოცხლედ“.

—ყველაზე მეტად კი თბილისში ჩამოსვლის წინ ვღელავ, — ამბობს ირმა. ამის მიზეზი არა მარტო მშობლიური კუთხის ხელახალი შეხვედრისა და შეგრძნების შეუდარებელი განცდაა, არამედ ის დიდი პასუხისმგებლობაც, რომელსაც ჩვენი ნატიფი გემოვნებისა და მოთხოვნილების მაყურებლის წინაშე ვგრძნობ.

თუ როგორ ემზადება ირმა ამ შეხვედრისათვის, მარტო ეს მაგალითიც იკმარებს. პირველი თბილისური სპექტაკლის შემდეგ ირმა მხოლოდ კულისებში ხვდება თავის მონატრებულ ხუთ დაიკოს...

ასეა. ჭეშმარიტი ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს და ხელოვანს არცთუ იშვიათად უხდება ამ მსხვერპლის გაღება...

თუმცა ირმა თავს მაინც უბედნიერესად გრძნობს, რადგანაც გვერდში ერთგული და მოსიყვარულე მეუღლე უდგას.

მესამე წელია, რაც სანკტ-პეტერბურგში, ნევის სანაპიროზე, ერთ მყუდრო სახლში, შეიქმნა ირმა ნიორაძისა და გოჩა ჩხაიძის ქართული ოჯახი. ირმას მეუღლე, თუმცა ბიზნესმენია, ეს სრულიადაც არ უშლის ხელს, ღირსეული მეუღლეობა და უერთგულესი მეგობრობა გაუწიოს გულის რჩეულს.

— გოჩა საოცრად მუსიკალურია. კარგად უკრავს გიტარაზე, მღერის და, რაც ყველაზე უფრო მახარებს, ჩემი მუდმივი მაყურებელი და ოპონენტია. სპექტაკლის შემდეგ ჩვენ ერთად ვაანალიზებთ მის ავ-კარგს, თქვენ წარმოიდგინეთ, ისეთ რჩევასაც მაძლევს ხოლმე, რომელიც უთუოდ გასათვალისწინებელია. გასტროლები ხომ მის გარეშე ვერ წარმომიდგენია, — ერთი სიტყვით, გოჩა ჩემი თილისმაა, — სიყვარულით ყვება ირმა.

იქნებ ამიტომაც უყვარს ირმას გამორჩეულად „ლეგენდა სიყვარულზე“.

— როცა ამ ბალეტს ვცეკვავ, განსაკუთრებულ აღმაფრენას განვიცდი, უფრო მეტიც, მე მაშინ სიყვარულის ზღვაში დავცურავ.

მარინის თეატრის გაზეთიდან:

„მეფური გარეგნობა, შეუდარებელი არტისტიზმი, პლასტიკურობის გამომხატველი მეღერადი ხაზები, რბილი და დელიკატური ცეკვის მანერა...“

„თუმცა, ბალეტის რაც არ უნდა ცნობილი კრიტიკოსების გამონათქვამები მრავიშველიოთ, წერს ელენა დოსტოევალოვა თავის ვრცელ წერილში ირმა ნიორაძეზე, — შეუძლებელია, ობიექტურად აღწერო სცენა. უნაყოფოა ბალეტზე წერა, ბალეტი უნდა ნახო, ბალეტით უნდა იცხოვრო, ბალეტი უნდა იგრძნო, იგრძნო მკერდიდან გულის ამოვარდნამდე“.

ირმა ნიორაძეც უპირველესად სცენაზე უნდა იხილო.

მიუხედავად ასეთი გარემოცვისა, ირმა დღესაც სიყვარულით იგონებს 24-ე სკოლას, ქორეოგრაფიულ სასწავლებელს, პირველ პედაგოგებს ნინო დიდებულიძესა და სერაფიმა ვეკუას, ქართული ოპერისა და ბალეტის თეატრსა და მის მთელ დასს...

ირმას ძალზე უჭირს, რომელს მიანიჭოს უპირატესობა, მშობლიურ თბილისს თუ სანკტ-პეტერბურგს, სადაც ჩამოყალიბდა, როგორც დიდი ხელოვანი, სადაც დაიწერა ჯვარი და გახდა ბედნიერი მეუღლე.

და იქ, შორეულ ქალაქში, როცა საკუთარი სახლის ფანჯრიდან ნევას გადაჰყურებს, მას ისევ თბილისი და მტკვარი ეხატება თვალწინ და უნებურად ღიღინებს: „ახ, ნეტავი, ერთად იყოს პეტერბურგი და თბილისი“.

მთავარი მაინც ერთია ირმასათვის, ორივე ქალაქი ერთნაირად ანიჭებს სიხარულს და ბედნიერებას.

დიდმა ხელოვნებამ ხომ საზღვარი არ იცის, იგი ყველას კუთვნილებაა.

ოგები ამტკიცებენ, რომ მსოფლიოში უამრავი დაუკმაყოფილებელი და „მამრის კრიზისით“ გაგიჟებული ქალია. ზოგიერთი ფანტაზიის ახსნა სწორედ ამ დაუკმაყოფილებლობით შეიძლება“. აი რას ამბობს ანნა მარია კაზილიო. რომის სექსუალური აღზრდის ცენტრის მეცნიერთანამშრომელი: “ „დღეს ძირითადად მამაკაცები უჩივიან სექსუალურ დარღვევებს, რის გამოც ნაღვლიანი და შეწუხებულები არიან. ქალები კი დაიღალნენ გაუთავებელი დაუკმაყოფილებლობით“.

ვინც ფსიქოლოგიის მიხვეულ-მოხვეულ ბილიკებს იცნობს, შენიშნავს, რომ ამერიკელ მკვლევარს ნენსი ფრაიდეის მხედველობიდან გამორჩენია ერთი არსებითი განსხვავება. საქმე ეხება, ერთის მხრივ, ქვეცნობიერ ფანტაზიებს, რომელიც უფრო მძაფრია და რომელიც სქესობრივი აქტისას ამოქმედდებიან, თუმცა ცნობიერის ზღვარს არასოდეს გადალახავენ, და მეორე მხრივ, გაცნობიერებულ ფანტაზიებზე, რომელთა გადმოცემა შეიძლება (ანუ ზუსტად ის, რასაც თავის წიგნში წარმოგვიდგენს ფრაიდეი). ეს უკანასკნელნი გვამცნობენ, რომ ქალი თავს იმით იმშვიდებს, რაც არ გააჩნია.

იტალიელი სექსოლოგები და ფსიქოანალიტიკოსები ფრაიდეის მიერ წარმოჩენილ სამყაროს, ცოტა არ იყოს, სკეპტიკურად შეხვდნენ. ისინი გაოცებულნი და შეცბუნებულნი დარჩნენ ამერიკელ ქალბატონთა უხამსობითა და თავხედობით. „არასდროს მინახავს სქესის გამო ახე ჰკუაზე შეშლილი ქალები, — განაცხადა ჯანა სკელეტომ და ამერიკელების ფანტაზიებს იტალიელთა სრულიად განსხვავებული ფანტაზიები დაუპირისპირა: „წარმოიდგინეთ, კიდევ არიან ქალები, რომლებიც თეთრ ცხენზე ამხედრებულ ძლიერ და კეთილ რაინდებზე ოცნებობენ“.

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲐ
ᲗᲐᲛᲣᲜᲐ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ



# კროსვორდი



**თარაზულად:** 11. აზრი, მსჯელობა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება საყოველთაოდ აღიარებულისაგან, ეწინააღმდეგება საღ აზრს; 13. კავალერიის ქვეგანაყოფი; 14. ქალაქი სამხრეთ იტალიაში; 15. ამერიკული ფილმი უწმინდურ ძალაზე; 16. ფსიქიური დაავადება, მკვლელობის მანია; 17. მომცრო ზომის ტკბილი ნამცხვარი; 19. ზღვის დიდი ფრინველი; 20. ნაგვის დასაყრელი ადგილი; 26. ხილის სქელი მურაბა; 28. ხვლიკის მსგავსი ცხოველი სალამანდრების ოჯახისა; 29. ქაღალდზე ან მუყაოზე გამოყვანილი ზომა ტანსაცმლის ან ფეხსაცმლის გამოსაჭრელად; 31. ცნობილი ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი; 32. აშშ-ში 60—70-იან წლებში ახალგაზრდობის წარმომადგენელი, რომელსაც მიაჩნდა, რომ თითოეულმა ისე უნდა იცხოვროს, როგორც მოეპრიანება; 33. ადამიანის სხეულზე ამოტვიფრული ნახატი ან წარწერა; 34. დედამიწის თანამგზავრი; 35. ქალაქის თვითმმართველობის შენობა ევროპის ქვეყნებში; 36. სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 40. დედნიდან ზუსტად გადაღებული ტექსტი; 41. აშშ-ს შტატი; 42. მდინარე ჩინეთში; 43. ცნობილი საბჭოთა მძლეოსანი, ოლიმპიური ჩემპიონი; 44. ნოტიო და ჩახურებული ფქვილი; 49. ანგორული თხის მატყლი; 50. მანქანის, აგრეგატის ნაწილებად დაშლა ან მოხსნა იმ ადგილიდან, სადაც გამართულია იგი; 51. სახელმწიფო ევროპაში; 52. აშშ-სა და ინგლისში გავრცელებული სპორტული თამაში; 54. მხარე გერმანიაში; 56. იტალიელი საესტრადო მომღერალი ქალი; 57. ბერძნულ მითოლოგიაში ურჩხული, რომელსაც აქვს ადამიანის ტანი და ხარის თავი. 58. მცირე ლირიკული მუსიკალური ნაწარმოები.

**შვეულად:** 1. ზღვის წვრილი თევზი; 2. ბაღში შუაცეცხლის თავზე ამოჭრილი ადგილი; 3. პირი, რომელსაც ეგზავნება წერილი; 4. რაიმე ცალკეული მოქმედება; 5. ლითონის მილაკი, რომელსაც ორივე ბოლოზე ხრახნი აქვს; 6. ძველი ეგვიპტის ფარაონი; 7. განის დედაქალაქი; 8. ვექილი ანუ... 9. გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე; 10. ზოგი მზიდი კონსტრუქციის ჰორიზონტალური ელემენტი, რომელიც აერთებს საყრდენებს, კოლონებს და მისთ; 12. წარსულში ცნობილი იტალიელი მსახიობი; 18. ნახევრად ძვირფასი იისფერი ან ლურჯი ქვა; 21. აეროდრომი ქუთაისის მახლობლად; 22. 80-იანი წლების გერმანელი ფეხბურთელი; 23. ეკლესიიდან განდევნა; 24. იატაკზე დასადგმელი მაღალფეხიანი სანათი მოწყობილობა; 25. საქმიანობის მიმართულება, ხასიათი; 27. ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული; 32. მრავალთავიანი წყლის გველი ბერძნულ მითოლოგიაში; 29. ზუთხი ანუ... 30. ჩინეთის ფულის ერთეული; 37. იდეალისტურ ფილოსოფიაში სამყაროს უსასრულო პირველმიზეზი, საწყისი; 38. ისტორიული ციხე მთიულეთში; 39. ზუსტი მიბაძვა, მიმსგავსება; 45. სივრცე გემის ფსკერსა და ქვედა გემბანს შორის; 46. ფულადი დახმარება; 47. ლითონის საულარუნებელი; 48. ზეპირად გამოცემა საგნისა; 52. სახელმწიფო აფრიკაში; 53. ინდონეზიის კუნძული; 54. არაქათი, ილაჯი; 55. შესახედაობა.

შეადგინა მამუკა იაშვილმა.

„დროშა" № 1-2-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 1. ალფონსი. 6. ფხოვი. 7. ოდეტა 11. აგუტი. 12. რადიო. 13. რაიტი. 18. ხპიტცი. 20. იანძი. 21. კარაჭი. 22. ხატია. 23. თოლია. 27. იბერია. 28. სხივი. 29. იარუსი. 30. ლუვრი. 32. გენუა. 34. მაგნა. 36. აბანო. 37. მარკა. 38. სუკოტაი.

**შვეულად:** 2. ლავრა. 3. სიდრი. 4. უხეში. 5. ატილა. 8. პლავტე. 9. ლუხუნი. 11. ბოტარო. 14. აპლომბი. 15. სირიუსი. 16. პინოქიო. 17. ექსცესი. 19. იტაკა. 25. ჩიკაგო. 26. ბრიუსი. 31. რონბი. 33. ეთიკა. 34. მენიუ. 35. ანაგა.

**გარეკანის პირველ გვერდზე:** ირმა ნიორაძე. ფოტო ბონდო დვალიშვილისა.

გადაეცა წარმოებას 15.07.96. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.08.96. ქაღალდის ზომა 60X90 1/8, გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 4. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 5,6. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69.
ტირაჟი 1 000. შეკვეთა 607. ფასი სახელშეკრულებო.

Ежемесячный независимый общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Костава, 14. Типография газетно-журнального издательства «Самшобло». Адрес редакции: 380008 Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

## რედაქციის მისამართი

380008. თბილისი 8, რუსთაველის პროსპექტი 42.
ტელეფონები, სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარის — 99-54-66; პასუხისმგებელი რედაქტორის და განყოფილებათა გამგეების — 93-28-42.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.





ნახატი-ხუმრობები

ჯემალ ლოლუასი.









ყ 191/3

ინდექსი 76056

